

# სოციალდემოკრატი.

ორგანო კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 4

17 (30) ივნისი 1905 წ.

№ 4

## დემოკრატია

### და სოციალდემოკრატია

I

არსად, არც ერთი ქვეყნის სოციალდემოკრატია არ ქონებია ისეთი რთული კითხვები გადასაწყვეტათ, როგორც აქვს რუსეთის სოციალდემოკრატია. ის ყოველგან აღორძინდა მას შემდეგ, რაც თვითმპრობელობა დაიწყო და პოლიტიკური თავისუფლება დამყარდა, როცა ძველი კლასების ბატონობა მოიშორა და ბურჟუაზიის ბატონობა დამკვიდრდა. მაშასადამე სოციალდემოკრატია აქ თავიდანვე ებრძვის თავის პირდაპირ მტერს — ბურჟუაზიას და თავისკენ იმხრობს ყველა უკმაყოფილო კლასებს სოციალური რევოლუციისთვის. და პოლიტიკური წყობილება რაც უფრო რადიკალურია, ე. ი. რაც უფრო ბურჟუაზია მარტო, ძველი კლასების დაუხმარებლათ, ბატონობს და ბრძოლის ნიშნადი წასულის ყოველნაირი ნაშთებისაგან გაწმენდილია, მით უფრო მძლავრდება პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა, წინ დგება სოციალდემოკრატია მთელი თავისი სავსებით და ის, ყველა უცხო არა-სოციალისტური ელემენტებისაგან განთავისუფლებული, პროლეტარიატის პარტიათ მკათიოთ ჩამოყალიბებულია. ვინც აქ პარტიაში შედის, შედის ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ, შედის როგორც სოციალისტი. ყველა დანარჩენი პარტიები თვით უკიდურესი დემოკრატებიც კი შეადგენენ სოციალდემოკრატის მოწინააღმდეგე ბანაკს და მათ შორის დიდი მწღვარია. ცხადია, სოციალდემოკრატიული მოღვაწეობა მოითხოვს ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას.

სულ სხვაა ჩვენში. აქ ბურჟუაზია ჯერ კიდევ ვერ არის პოლიტიკურათ გაბატონებული, ის მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს და შეადგენს მთავრობის ოპოზიციას. თვითმპრობელობას პროლეტარიატთან ერთათ ბურჟუაზიული კლასებიც ებრძვის და მით იქმნება მათთვის საერთო ნიადაგი. სოციალდემოკრატია იძულებულია ებრძოდეს არა

თავის პირდაპირ მტერს — ბურჟუაზიას, არამედ „მტერს თავის მტრისას“ — თვითმპრობელობას. ის იღვწის ბურჟუაზიულ წყობილების დასამყარებლათ, ბურჟუაზიულ რევოლუციის მოსახდენათ. მასთან ერთათ, და მის გვერდით ამავე მიზნისათვის მუშაობს მრავალი ბურჟუაზიული პარტიები. საზოგადოება სწორეთ ბურჟუაზიის ბატონობისათვის არის მომწიფებული და ამიტომ მთელი საზოგადო ატმოსფერა, მთელი ცხოვრება ბურჟუაზიული იდეებით არის გაჟღენთილი. თვით შეგნებულ პროლეტარიატსაც კი გადაქარბებული წარმოდგენა აქვს ბურჟუაზიულ თავისუფლებასზე. თვით სოციალდემოკრატიაც კი დაბლა სწევს თავის წითელ დროშას მისი ტრაპეზის წინაშე, რაიცა ამტკიცებს ბურჟუაზიული აზროვნების დიდ გავლენას. ერთი სიტყვით, სოციალდემოკრატია, როგორც სოციალდემოკრატია, იმყოფება საერთო მტრულ ატმოსფერაში, მას ყოველი მხრიდან ემუქრებიან არევ-დარევას და დაშლას.

და აი, იბადება ძნელი კითხვა: რა ნაირათ შეეძლება ჩვენს პარტიას ამ საერთო ბრძოლაში, ამ საერთო ნიადაგზე მოღვაწეობაში შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, თავისი სოციალდემოკრატიული ხასიათი? ზოგ გულუბრყვილო ამხანაგს გონია, საკმარისია სოციალდემოკრატიული პროგრამა გვექონდეს, რომ სოციალდემოკრატი ვიყოთო, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუილებაა. საქმე იმაში კი არ არის, თუ ქალაქში რა გიწერია, არამედ იმაში თუ რას აკეთებ, როგორ მოქმედებ, თავისი პრაქტიკით საითკენ მიდიხარ. მარქსმა კი ხანია თქვა: ერთი ნამდვილი მოძრაობა ერთ დიუჟინ პროგრამას სჯობიაო. სოციალდემოკრატიული პროგრამა რას გიშველის, თუ საქმე ბურჟუაზიული გაქვს? მაშასადამე, მთელი კითხვა მდგომარეობს არა პროგრამაში, არამედ ტაქტიკაში, ე. ი. იმ პრაქტიკულ პროცესში, რომლითაც ეს პროგრამა უნდა განხორცილდეს.

როგორი უნდა იყოს სოციალდემოკრატიული ტაქტიკა?

თვითმპყრობელობის ებრძვის ყველა ოპოზიციური კლასი. ცხადია, ამ ნიადაგზე სოციალდემოკრატია ბურჟუაზიას უერთდება და არა შორდება. აქ ის ითქვიფება სხვა პარტიებში და დამოუკიდებლობას კარგავს. სამაგიეროთ მას აქვს ისეთი ასპარეზი, სადაც მოზიარე არავინ ყავს და ბოლომდის მარტოთ რჩება. ეს არის ბრძოლა თვით ბურჟუაზიასთან სოციალიზმის სახელით. მაშასადამე, სოციალდემოკრატის შეუძლია თავისი საკუთარი პოლიტიკა აწარმოვოს იმდენათ, რამდენათ ის ბურჟუაზიას შეებრძოლება, ბურჟუაზიულ პარტიებს დაუპირდაპირდება. ეს დღეს ადვილი არ არის. როგორც ზევით ვთქვი, ბურჟუაზიული აზრებით ისე გაქვნილია არე-მარე, რომ ჩვენს პარტიასაც ხშირათ არყვეს და ატოკებს. მათთან საბრძოლველათ საჭიროა ვიკოდეთ პირველყოვლისა მათი ბუნება და ვითარება.

ბურჟუაზიული აზროვნება ჩვენს პარტიას აწვევა ორი მხრიდან: გარედმიდან და შიგნიდან. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

დღევანდელ ოპოზიციურ პარტიებს რომ დააკვირდეთ, მაშინვე შეამჩნევთ დიდ განსხვავებას, მხოლოდ უკიდურეს პარტიათა—სოციალდემოკრატისა და ლიბერალებს—შორის. ლიბერალების სიტყვა და საქმე იმდენათ განსხვავდება ჩვენი პარტიისაგან, რომ მათი ცნობა ძლიერ ადვილია და, მაშასადამე, მათთან ბრძოლაც ძნელი არ არის. ისინი არც კი ფიქრობენ ჩვენ გაგვიწიონ მეტოქეობა, ჩვენ წაგვართვან ჩვენი ნიადაგი, პირიქით, ისინი, როგორც სხელი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, თავის კლასებს არც კი სცილდებიან და პროლეტარიატში სამოქმედოთ არ გადადიან. სულ სხვაა შუათანა პარტიები, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც პროლეტარიატის ბრძოლის ზოგი წესები შეითვისეს, სოციალდემოკრატიულ ზოგ მოთხოვნებებსაც თხოულობენ, სოციალისტურ ფრაზებსაც წარა მარა ისერიან და ასე მუშა—ხალხს „ჩვენც თქვენი ვართო“—გადასძახიან. ეს არის დემოკრატიული პარტიები და მათი გარჩევა და მათთან ბრძოლა ადვილი არ არის.

რა არის დემოკრატია?

დემოკრატია არის ერის უმრავლესობის პოლიტიკური ბატონობა, და რადგანაც ამ უმრავლესობას შეიცავს პროლეტარი, გლეხი, წვრილი ვაჭარ-მრეწველი, ხელოსანი, ინტელიგენტი და სხვა წვრილი შეძლების პატრონნი, ამიტომ დემოკრატები ცდილობენ ყველა ეს კლასები შეაერთონ, ერთ რაზმად აქციონ, ერთ პარტიათ შეადგინონ და საერთო მიზნისაკენ მიმართონ. ისინი ებრძვიან უმცი-

რესობას, შეძლებულთა ბატონობას და მით უახლოვდებიან პროლეტარიატს. აი, ეს მათთვის სახეობა, რომ პროლეტარიატის ნამდვილ-დამცველათ თავის თავი დასახონ და თავის პარტიაც სოციალისტურ პარტიათ გამოაცხადონ. მაგრამ როგორც კი პროლეტარიატი წვრილ ბურჟუაზიულ რაზმს შორდება და თავის საკუთარ პარტიას აარსებს, მაშინვე აშკარავდება დემოკრატის წვრილი ბურჟუაზიული სახე და ყვილასათვის დასანახავი ხდება. ამიტომ, არც ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მეტერი, როგორც დემოკრატია. ის დაუცხრომელათ ებრძვის სოციალდემოკრატისა, ეს პარტია მიაჩნია მას თავის უმთავრეს მეტერთ და ეგებს სხვადასხვა მახეს მის დასაქერათ და თავის წვრილ ბურჟუაზიულ „ჯოჯში“ გასათქვეფათ. ამ მიზნის მისაღწევათ ის ქადაგებს ერთობას, სხვა პარტიებთან შეკავშირებას („ბლოკი“), უსაშველოთ აზვიადებს დემოკრატიულ წყობილებას, სოციალდემოკრატისა უწუნებს სოციალიზმს და თავისი თავი ნამდვილ სოციალისტათ გამოაქვს—ერთი სიტყვით, ყოველნაირ ღონის ხმარობს სოციალდემოკრატის დასანგრევათ. სოციალდემოკრატის მეტოქე და დაუძინებელი მეტერი დემოკრატიული პარტიებია და მათი დანგრევა მისი განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ პარტიების სახელებია: „სოციალისტი“-რევოლიუციონერი, დემოკრატ-პროგრესისტები, აგრონომისტ-ფედერალისტები (ნაციონალისტები) და ძმანი მათი.

და რამდენათ სოციალდემოკრატია ამათ დაუპირდაპირდება, მათ სულის კეთებას და ბურჟუაზიულ სარჩულს ნათელ ყოფს, მათ ფრაზებისაგან მოქსოვილ პირობადეს ჩამოაღვჯს და სიდუხჭირეს გამოუშკარავებს, იმდენათ ის ირჩენს თავის დამოუკიდებლობას და საკუთარ პროლეტარულ პოლიტიკას აწარმოებს.

მაგრამ საკვირველია ის, რომ ჩვენში, რუსეთში, სადაც სხელი კაპიტალის განუვითარებლობით წვრილი კაპიტალი დიდ როლს თამაშობს, წვრილი ბურჟუაზია მაგარი, მრავალი და თავადებულია, მისი პარტიები კი სუსტი და უძლურია. მუშათა პარტიამ წინ გაუსწრო მათ და ბრძოლის ველს დაეპატონა. ნაციონალისტები, სოც.რევოლიუციონერები და სხვა დემოკრატიული პარტიები უჯარო სარდალთა გროვაა. მათი ჯარი კი მუშათა პარტიას ემხრობა; გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია—სოციალდემოკრატის ხელმძღვანელობას ცნობს და პარტიაში შემოდის, და ეს განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიაში; რუსეთში კი პარტიას მოაწვა განსაკუთრებით ინტელიგენცია და თან შემოაქვს თავისი წვრილი ბურჟუაზიული აზროვნება და

პსიხოლოგია. ნათქვამია ბუნება კარებიდან რომ განდევნო, ფუნჯრებიდან შემოვალ. წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდენ, სამაგიეროთ ისინი მაგრდებიან ჩვენს პარტიაში. ამით, ბურჟუაზიულ აზროვნებამ შემოხეთქა სოციალდემოკრატიის კედლები და მას ემუქრება შიგნიდან.

რას წარმოადგევს ეს შიგნიდან მუქარა, ეს „შინაგანი მტერი“?

ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ რაკი ჩვენკენ ამდენი სხვად სხვა ხალხი მოდის—ალბათ ძლიერი ვართო. ეს შეხედულობა მართალიც არის და შემცდარიც, იმის და მიხედვით თუ როგორი თვლით 'შევხედავთ სოციალდემოკრატიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვლით, დავინახავთ რომ ის ძლიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლასები ჩვენკენ არ მოვიდოდნენ; თუ მას შევხედავთ სოციალდემოკრატიული თვლით—ის სუსტია, უამასოთ წვრილი ბურჟუაზია არ გაგვეკარებოდა. ესენი პარტიაში შემოდინან როგორც დემოკრატები, მათთვის ჩვენ უბრალო დემოკრატები ვართ და სურთ ჩვენი პარტია იარაღათ მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევათ. ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, პირიქით ჩვენ ვართ მათი იარაღი—და ვიბრძვით მათ სასარგებლო ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლათ. ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოვებია, ჩვენი სოციალისტური სახე აშკარათ გამოგვეჩვენებია და მათ ეს დაენახა—უტყველია, ჩვენკენ არ წამოვიდოდნენ და ჩვენს დროშის ქვეშ არ დადგებოდნენ. მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და გამრავლებას. და ამიტომ ასე აღტაცებით აფრიალებენ მას წარამართათ. ევროპის სოციალდემოკრატიას იმდენი გავლენა არ აქვს ბურჟუაზიაზე, რამდენიც ჩვენ გვაქვს. მაგ. ვასულ კვირაში ქუთაისის სოციალდემოკრატიამ მთელი ქალაქის გაფიცვა მოახდინა, რაც არ შეუძლია არც ბერლინის და არც პარიჟის სოციალდემოკრატიას. მარა ეს იმას ნიშნავს, რომ ქუთაისის სოციალდემოკრატია ბერლინისაზე უფრო ძლიერია? სრულადაც არა, ეს ნიშნავს იმას, რომ იქ არის ბოლო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აქ კი—ბურჟუაზიის სასარგებლოთ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ გვართ, რადგანაც დემოკრატიული პარტიები სუსტია, ამიტომ დემოკრატიული კლასები მიაწვა სოციალდემოკრატიას და ლამის მის გადემოკრატებას, ე. ი. მუშათა პარტიის დაშლას და თავის არსებაში ათქვეფას. და აი, ჩვენს პარტიაში

კიდევაც გაისმა ხმა შესახებ დემოკრატიულ პარტიებთან შეერთების, მათთან ერთად მთავრობის შედგენის, დემოკრატიული ტაქტიკის წარმოების სოციალდემოკრატიის ერთი ნაწილი უკვე დაიმორჩილა წვრილმა ბურჟუაზიამ და თავის მიზნისაკენ გააქანა. პარტიის ერთი ნაწილი უკვე შესდგა გადემოკრატების გზაზე.

რას ეტრფის ეს ახალი დემოკრატიული პარტია? როგორი დამოკიდებულება უნდა ქონდეს მასთან სოციალდემოკრატიას? ამაზე მეორე წერილში.

### ლიბერალები მეფესთან

ლიბერალები, როგორც იყო, გაბედნიერდენ. მათი დეპუტაცია 6 ივნისს მიიღო ნიკოლოზ მეფემ და მასთან „საუბარი ინება“. მის წინაშე წარსდგნენ ერობათა და ქალაქის საბჭოთა ბურჟუაზიის წარმომადგენელნი და შეეცადნენ მეფის გულის მოგებას. მეფეც ლმობიერი აღმოჩნდა და მათ მოწყალე თვლით გადახედა. და აი გაიმართა ჩინური ცირემონია: სტუმრებმა შეაქეს მასპინძელი, მასპინძელმა შეაქო სტუმრები. „ხალხი ხედავს, რომ მეფეს კეთილი სურს“, „გამოუცხადეს ლიბერალებმა, „მოხარული ვარ რომ გისმენთ“, უბასუხებს მეფე. და ასე ერთი მეორის ქებით, ერთი მეორის მომხრობით დაასრულეს ეს პირველი ლიბერალური დარბაზობა. ამით პირველათ გაიბა ძაფი ტახტის და ბურჟუაზიულ ოპოზიციას შორის, პირველათ აღიარა თვითმპყრობელმა რომ ლიბერალები „ხელმძღვანელობენ დიადის სიყვარულით სამშობლოსადმი“. ის ნიკოლოზი, რომელმაც ამ ათი წლის წინეთ ლიბერალთა ასეთსავე დარბაზობას „უაზრო ოცნება“ უწოდა და სახლიდანაც გამორეკა, ახლა თავის ერთგულათ აცხადებს და ერთად მოქმედებაზე იწვევს.

რა ამბავია, რა მოხდა? მოხდა ის რომ მუშათა მოძრაობამ მეფის ტახტი შეარყია, ის დამსხვრეულ-დამტვრეული რევოლუციური ქარტახილში იღუპება და აი წყალწალბეულივით ხავს ექიდება, ლიბერალთა დახმარებით ნაპირზე გამოსვლას ეპირება. მეფობას ძველი ბიუროკრატიული და არისტოკრატიული ძირი დაუღუპა, გამოფუტურებული საძირკველი ვედარ უძლებს ზედ-აპართულ შენობას და ლამის ჩანგრევის. და აი ამ შენობის პატრონი ცდილობს საძირკველი გამოსცვალოს, მობერებულო და უძლოური აზნაურობის ალაგას ახალგაზდა და ძლიერი ბურჟუაზია ჩააყენოს, უნიჭო რეაქციონურ ჩინოვნიკების ალაგას ნიჭიერი ლიბერალები მოიწვიოს და ასე განახლებულ-გაძლიერებული ქვეყანას ისევ სათავეში მოექცეს. აქედან მომდინარეობს მეფის ახალი პოლიტიკა ლიბერალების მიმართ.

ლიბერალები? ესენი ხედავენ პროლეტარიატის მიერ დაჭრილ ვეშაპს, სხვისი ოფლით მომუშავებულ ნაყოფს და მორბიან ვეშაპის თავის სასარგებლოთ მოსარჩენათ, ნაყოფის თავის კლასისათვის მოსამკელათ. ბურჟუაზია მუდამ სხვისი ოფლით იკვებება და აქაც მტკიცეთ მისდევს ამ მცნებას. მუშათა მოძრაობა ქალაქში, გლახთა აბოზობქრება სოფელში მეფეზე არა ნაკლებ ბურჟუაზიას აშინებს. და თუ ამ მოძრაობამ თავისი გაიტანა, თუ მეფობა ძირბუღიანათ ამოაგდო და ბურჟუაზია ბრძოლის ველზე დამარტოვებული გაიგდო, მისი დამარცხებაც გაადვილებული იქნება. ბურჟუაზია განსაცდელშია და ახლავე ეძებს ძლიერ მოკავშირეს პროლეტარიატის წინააღმდეგ; ასეთი ნანატრი მოკავშირეა იგივე მეფობა, მხოლოთ საძირკველ გამოცვლილი და განახლებული. მეფე ბურჟუაზიის მოსამსახურე, ბიუროკრატია ბურჟუაზიის ბრძანების ამსრულებელი, ტახტი გაბურჟუაზებული—აი ბურჟუაზიის დროშა. აი, რას თხოულობენ ლიბერალები.

მეფე ლიბერალებს, ლიბერალები მეფეს, გალიბერალებული მეფე, გამეფებული ლიბერალები—აი რა გამოცხადდა ნ იენისის დარბაზობით.

ლიბერალებმა ასე მიმართეს მეფეს: „ხალხი გრძნობს, რომ იგი მოტყუებულია, ფიქრობს რომ ატყუებენ მეფესაც. იმ დროს, როდესაც ხალხი ხედავს, რომ მეფეს სურს სიკეთე, ხოლო ბოროტება კი ითვება, მეფე უჩვენებს ერთზე და კეთდება მეორე, როდესაც ხალხი ხედავს, რომ თქვენი უდიდებულესობის კეთილ განზრახულებათ კვეცავენ და ასრულებენ ისინი, ვინც პირდაპირი მტერია კეთილ ცვლილებათა, მაშინ ხალხს უფრო უმტკიცდება ის რწმენა, რომ იგი მოტყუებულია“.

როგორც ხედავთ, ლიბერალების აზრით მეფე კეთილია, ხალხისთვის თავდადებულია, არ ვარვან მხოლოთ მისი ჩინოვნიკები, მისი ნების ამსრულებელი. ე. ი. დაგვაყენეთ ჩვენ მათ აღაგას და ყოველივე ჩინებულათ წავაო, ლაღადებენ ბურჟუები. და თუ დღეს ხალხს არბევს კონსერვატორი ბიუროკრატია მუშტით, ხვალ დაარბევს ბურჟუა-ბიუროკრატია „კანონით“; თუ დღეს მეფე გვიმორჩილებს „მოწყალებითა ღვთისათა“, ხვალ დაგვიმორჩილებს „მოწყალებითა ბურჟუათა“. ეს არის ორი ბატონის შეერთება ხალხის ზურგზე სანავარდოთ, ეს არის ტახტის ჩამოქვეითება ბურჟუამდის, ბურჟუას ამალლება ტახტამდის.—აი ლიბერალთა სულის კვეთება, აი როგორ ფიქრობენ ისინი ხალხზე გაბატონებას.

ლიბერალები განაგრძობენ: „უკვე წარმოითქვა სიტყვა „ღალატი“ და ხალხი ეძებს ამ მოლა-

ლატეთ გენერლებშიაც, თქვენ მრჩეველებშიაც, ჩვენშიაც და საერთოთ ყველა ბატონებშიაც. ხალხის ასეთი გრძნობით სარგებლობენ და ერთნი ხალხს უთითებენ მებატონეებზე, მეორენი—სოფლის მასწავლებლებზე, ექიმებზე, ნასწავლებზე. მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორე ნაწილის წინააღმდეგ ამხედრებენ. აი ის ბოროტი განსაცდელი, ხელმწიფეო, რომელიც ჩვენ, ხალხში მცხოვრებლებმა, გავითვალისწინეთ“.

აი ლიბერალების გოდება, აი რატომ სურთ მეფესთან დაკავშირება. მათ მოსვენებას არ აძლევს ის, რომ ხალხი „მოღალატეთ“ ეძებს არა მარტო გენერლებში, არამედ მათში, ლიბერალებშიაც; ხალხი ებრძვის „საერთოთ ყველა ბატონებს“, ხოლო შავი რაზმები ნასწავლებს, მოთქვამენ ლიბერალები და ითხოვენ მეფის დახმარებას, ე. ი. არც რევოლიუცია, არც რეაქცია—აცხადებენ ბურჟუები და საფარათ ტახტს იკეთებენ მათთან საბრძოლველოთ. ლიბერალებისათვის ტახტი ბარიკადაა, საიდანაც უნდა შემუსრონ რევოლიუცია და რეაქცია, პროლეტარიატი და ბიუროკრატია და დამყარონ შეძლებული ბურჟუაზიის მეფობა. მათთვის მეფის გვირგვინი მაგარი სახურავია იმ ქვაბის, სადაც მათი საზრდო იხარშება; ხალხის ძარცვა-გლეჯის მეფის კალთებით დამალვა, კაპიტალისტთა მუდმივი იდეალია.

და მეფეცაც უსმინა მათ. მან ასე უპასუხა ლიბერალებს: „მოხარული ვარ, რომ გისმენთ. ეჭვი არა მაქვს, ბატონებო, რომ თქვენ ხელმძღვანელობით ღიადის სიყვარულით სამშობლოსადმი, როდესაც თქვენ პირდათ მე მომმართეთ... დაე, დამყარდეს, როგორც ძველათ იყო, მეფესა და რუსეთის ხალხს შორის ურთიერთობა, დაე, დამყარდეს ჩემსა და საერობო მოღვაწეთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის თვით არსებით გამტკიცებულ წესიერებას საფუძვლათ დაედება. მე მრწამს თქვენი გულწრფელი სურვილი ამ საქმეში დახმარებისათვის“.

ცხადია, ნიკოლოზი ეთანხმება ლიბერალებს—ესენი დაიხლოვოს და მათი საშუალებით „ხალხს და მეფეს შორის ძველებური დამოკიდებულება აღადგინოს“. ანუ, უკეთ, თუ აქამდის მეფეს და ხალხს შორის კონსერვატორები იდგენ, ამიერიდან ლიბერალები ჩადგებიან და მთავრობის ძალას თავის სასარგებლოთ მომართვენ. ბურჟუაზია ეხმარება მეფეს რევოლიუციის ჩაქრობაში, მეფე ეხმარება ბურჟუაზიას ხალხის გაყვლეფაში. ორივენი ერთმანერთს საჭიროებენ, ერთმანერთის იარაღი არიან, ერთმანერთს უკავშირდებიან.

ამ ნაირათ, ნ იენისის დარბაზობა მეფის და

შედლებული ბურჟუაზიის ხელშეკრულობის გამოცხადებაა, მათი „წმინდა კავშირის“ დაარსებაა. ფული ბურჟუაზიის, მათრახი მეფის—აი, ამ „წმინდა კავშირის“ წმინდა საშუალებები, აი ხალხის დასარბევი ახალი პლანები. და ეს პლანი გაცილებით უფრო საშიშარია, ვინემ დღევანდელი მთავრობის წელმოტეხილი ჩხირკედლობა.

მუშებო, ახლა იწყება თქვენი უძლიერესი და უმაღლესი ბრძოლა. ბურჟუაზია შედის თავის უფლებებაში. ბურჟუაზიული პარტიები ემზადებიან პირველ შემთხვევისთანავე გაყიდონ ხალხის ინტერესები, და თქვენ მიერ მოპოვებული წყობილება თავის კლასს გადასცენ საკუთრებათ. ჩვენი ვალია, არ დავანებოთ მათ მეფესთან შეკავშირება, არ დავანებოთ პროლეტარიატის განმარტოვება და ხალხის გზა-კვალის აზნევა.

ჩვენი ვალია ბურჟუაზიულ პარტიებს კრიჭაში ჩაუდგეთ, თვითეული მათი ნაბიჯი სასტიკ კრიტიკაში გადატაროთ, მათ მუღმივი, შეუჩერებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ და მით ჩვენს მხედველობის ქვეშ დავაყენოთ. ერთი სიტყვით, მეფობის ბურჟუაზიისაგან გამოთიშვა, მისი ძირბუდიანათ განადგურება და მერე დამარტოვებული ბურჟუაზიის შემუსვრა—აი სოციალდემოკრატიის დროშა, და ამ დროშით გაიმარჯვებთ თქვენ!

### თვითმპყრობელობა დღეს

„რკინის ადმირალი“ დამარცხდა, 14-16 მაისს კუნძულ ცუსიმასთან ბალტიის ესკადრა სავსებით გაანადგურეს. ათას მეზღვაურებთან, რუსეთის ერის მილიონებთან ერთათ წყნარი ოკეანე მეფის გვირგვინსაც ძირავს. თვითმპყრობელობის გემი უგზო-უკვლოთ მიხეტება აღელვებულ ზღვაში. მისი უვნებლათ გაყვანა მეორე ნაპირს—აი ბიუროკრატიის მიზანი ამჟამათ.

საერო კრება მეფის მთავრობის ასალაგმავათ! თხოულობს ოპოზიცია. საერო კრება მეფობის გასაძლიერებლათ!—უპასუხებს ბიუროკრატია. ეს იძულებულია წინანდელი გზა დასტოვოს, მარა ისე რომ მას არაფერი ევნოს, ყოველ შემთხვევაში ის მოექცეს ცხოვრებას სათავეში. ხალხისათვის რეფორმების მოჩვენება და ამავე დროს უკანასკნელი ძალღონის მოკრება და მით ოპოზიციის განადგურება—აი მთავრობის დღევანდელი დროშა.

პოლიტიკა „გულმტკივნეულ მზრუნველობისა“. აი, რას მიმართავდა მთავრობა ყოველ გაჭივრების დროს. როცა „ნაროდოვოლცებმა“ მთავრობას სიცოცხლე გაუმწარეს, სცენაზე ლორის-მეღიქოვი

გამოიყვანეს და „კონსტიტუციის პროექტი“ შეადგენიეს—„ხალხის“ წარმომადგენლებს, თუ უკრძალავს დასძრეს, ციმბირში ვუკრავთ თავსო. მას შემდეგ რაც სტუდენტურმა მოძრაობამ მთელი შეგნებული საზოგადოების თანაგრძნობა მოიპოვა და მუშათა კლასის მეოხებით ბრძოლა ქუჩაში გადვიდა, მთავრობა სტუდენტების დასამშვიდებლათ „ლიბერალ“ გენერალ ვანნოვსკის ნიშნავს განათლების მინისტრათ. როცა გაფიცვები მუშათა მოძრაობამ ფაქტიურათ დააკანონა, მთავრობა ვიტტეს ხელით გაფიცვისა და მუშათა ორგანიზაციების „თავისუფლების“ პროექტს აღგენს. როცა მოძრაობამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია, მაშინ სვიატოპოლკ-მირსკი გამოიყვანეს შერყეულ მდგომარეობის დასამაგრებლათ. მარა ყველა ამათ უკანვე აბრუნებდენ და ძველ გზას არ ტოვებდენ. და ასე, მთავრობის ბორბალი ხან აქეთ მოღრიჭინებს ხან იქით, ბიუროკრატთა რაზმში ხან ერთი შეყავს, ხან მეორე და მით ხალხის თვალის ასაზნევათ ტრიალებს.

რაც დრო გადის და მეფის მთავრობის აღსასრულიც ახლოვდება, მისი „მზრუნველობაც“ მატულობს, და კანცელარიებიც მედგარ მეტოქეობას უწევენ ერთი მეორეს პროექტების შედგენაში. მას შემდეგ, რაც მთავრობის პოლიტიკა შინაც და გარეთაც დაიმსხვრა, პროექტების რიცხვმა თვალ-საჩინოთ იმატა, და კომისიებიც სოკოსავით მრავლდება. კომისია კოკოვცევის, კომისია გორემიკინის, „სახელმწიფოს დაცვისა“, და ასე ყოველ წუთს ახალი და ახალი კომისია, და ვინიცის. რამდენი კომისია საიდუმლოთ მოქმედებს. მარა კომისიებით ხალხის დაკმაყოფილების დრო სამუდამოთ გაჰქრა, ის დღეს საქმეს მოითხოვს. 9 იანვარმა ნათელჰყო, თუ რამდენათ ხალხი და მისი მოწინავე მებრძოლი პროლეტარიატი გაზრდილა. ყველა მწარე გაკვეთილი, მთავრობის ყოველნაირი ახალი რისხვა მას აბობოქრებს და აბობოქრებინებს ცხოვრებას. ხალხი ძველ კანში ველარ ეტევა და მთავრობასაც—ამ ძველ კანის ცეცხლით და მახვილით დამცველს ებრძვის და მის წაქცევას ლამობს. აღმ. როჟდესტვენსკის დამარცხებამ ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამოაშკარავა და ამატომაც დღეს ხალხი ქვეყნის ხსნას ხალხის მეოხებით თხოულობს. ბიუროკრატია, ვითომც ქედი მოიხარა და ცოდვები შეინანიაო, საერო კრების მოწვევაზე ყაყანობს. 18 თებერვლის რესკრიპტი, ოთხი თვის განმავლობაში საღდაც გამქრალი, დღეს მოიგონეს, და ბულიგინის კომისიაც მინისტრთა საჭკოს თავის პროექტს უდგენს. ამ პროექტის შესახებ ჯერ-ჯერობით დანამდვილებით ვიცით მხოლოდ ერთი: წარმომადგენელთ კრებას მრჩეველი ხმა ექნება, არჩევანი არა

საკოველთაო და არა პირდაპირი იქნება. ბიუროკრატია პოლიტიკურ თავისუფლების აჩრდილს იძლევა და მუშათა კლასისთვის აჩრდილსაც აღარ იმეტებს. ბურჟუაზიის მიმხრობა რევოლიუციის ჩასაქრობათ—აი რას ელტვის ამ პროექტით მთავრობა. ბიუროკრატია წინანდებურათ კანტროლის მაღლა დგება,—სამინისტრო ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხს არ უნდა აგებდეს, ის კვლავ მეფისგან უნდა იქნეს დამოკიდებულიო—და ამნაირათ ქვეყანას კვლავ საწიწქნათ იტოვებს.

მარა ბიუროკრატისათვის ეს „დათმობაც“ შეუძლებელი გამხდარა. საერო კრებაზე ყვირილით საზოგადოების მიმხრობა და ამ დროს კი ზავის ჩამოგდება ან მოლაპარაკებით დროს მოგება და ლინევიჩის ჯარის გაძლიერება—აი რას ცდილობს მთავრობა. მშვიდობიანობა ბიუროკრატით, ომის გაგრძელება მისივე საშუალებით და ამ დროს კი უკანასკნელი ძალის მოკრება და ოპოზიციის განადგურება—აი რა გზას ადგია მთავრობა. რეაქცია მოქმედებას შეუდგა. „ლიბერალ“ ჩინოვნიკთა დევნა და რეაქციონერთა გაბატონება დაიწყო. მინისტრი ერმოლოვი დაიხრავეს, ბევრს ასეთივე ბედი მოელოის. ვიტტეს დათხოვნა და იმის ადგილას სინოდის ობერ-პროკურორის—რეაქციის ცნობილი მეთაურის—კ. პაბედონოსცევის დანიშვნა, ბულიგინის „ავათყოფობის გამო საზღვარ გარეთ გამგზავრება“ და მის ადგილას შტიურმერისა ან სტიშინსკის—მონარქისტთა პარტიის—„წმინდა რუსეთის“—მეთაურთა დანიშვნა—აი რას გადმოგვცემენ გაზეთები დაჟინებით. რეაქცია პოზიციებს იმაგრებს. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი ტრეპოვი მთელი რუსეთის პოლიციის მინისტრათ დანიშნეს, პეტერბურგის დამშვიდების ნაცვლათ მთელი რუსეთის დაშვილება მასვე მიანდევს. კავკასიის ნამესტნიკთან პოლიციის ცალკე უფროსი დანიშნეს. გაძლიერებული დაცვა ახალ-ახალ ადგილებს მოფინეს, მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკათ აქციეს. „გულმტკივნეულ მზრუნველობის“ ადგილი „რკინის ხელის“ პოლიტიკამ დაიჭირა. რეაქციაც რევოლიუციის ჩასაქრობათ „მოსკოვის უწყების“ პირით სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას თხოულობს და, რომ თავის მოქმედებას ცხოვრებაში რაიმე ნიადაგი მოუზოვოს, ხალხს უწოდებს, დაგვიცავითო. „ხალხმაც“ ხმა ამოიღო. ყველა ის, ვისაც მეფის გვირგვინში წილი უდევს, ვინც ხალხის სისხლით გაძდარია, რეაქციის ძახილზე ფეხზე წამოდგა და მოქმედებას შეუდგა. არიოლის გუბერნიის „სხვა და სხვა მდგომარეობის“ 2003 პირი მეფეს აღრესს უგზავნის ამბოხებისაგან დავვიცავიო და „მაგარი მთავრობის“ დაწესებას ევედრება. „ბნე-

ლი ძალების“ მოქმედება გაძლიერდა. მუშების და ინტელიგენციის ცემა იქ, ურიებისა და სოფლების ამოჟლეტა მეორე ადგილას, აშკარა პროპაგანდა ხალხისთვის თავდადებულ პირთა წინააღმდეგ—აი მთავრობის პოლიტიკის ნაყოფი.

თვითმპყრობელობა სამარეში ესვენება და ამიტომაც საშინლათ იკბინება. მარა ცხოვრების აუცილებელი მსვლელობით ყოველი ზომა, ხალხის წინააღმდეგ მიმართული მასვე ატყდება თავს. მთავრობა ირყევა, და აღარ იცის რა ქნას, რა გზას დაადგეს, ხან ხალხისაკენ იბრუნებს პარს, ხან კი მკხს ისვრის მის წინააღმდეგ. ამ რყევის დროს მეფის ტახტიც ნელ-ნელა იმსხვრევა. რევოლიუციის ცეცხლი, რომელიც დასწვავს მეფის მთავრობის ბატონობას, მაგრათ ღვივის. მისი საფესებით განადგურება პროლეტარიატის მეთაურობით—დროს კითხვაა. ამ დროს მოახლოება კი ჩვენი ვალია.

ბარტიული მუშაობა გურიაში

როგორც იცით, კავკასიის ს. დ. მუშათა ორგანიზაციების პირველ კონფერენციასზე, სხვათა შორის, გაირჩა გლენთა კითხვა და გამოითქვა ის აზრი, რომ გლენობაში უმთავრესათ დემოკრატიული მოძრაობაა და რომ მისი ერთი ნაწილი შეგვრჩეს, საჭიროა ახლავე შეუუდგეთ ამ მოძრაობის საზღვრებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას და ფართო სოციალდემოკრატიული პროპაგანდის დაწყებას. თავისთავათ ცხადია, რომ ასეთი ორგანიზაცია პირველათ გურიიდან უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან სოფლის მოძრაობის მეთაური ღღეს ჩვენში გურიიაა. და აი, ამას კარგად მიხვდნენ გურიის ამხანაგები და 10, 11, 12 მაისს მოახდინეს კრება საორგანიზაციო კითხვების გამოსარკვევათ. კრებას დაესწრენ პროპაგანდისტები და აგიტატორები, რაიონის წარმომადგენლები და კომიტეტის წევრები. კრებამ, შემდეგ დიდი დებატებისა, მიიღო შემდეგი ორგანიზაციული წესდება გურიისათვის:

1. კომიტეტი შედგება რაიონის და პროპაგანდისტ-აგიტატორთა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან და ერთი ლიტერატორისაგან.

შენიშვნა. ა) კომიტეტს შეუძლია წევრათ მიიღოს გამოცდილი და თეორეტიულათ მომხადებული ამხანაგნი, რომელნიც კი სასარგებლოა მუშაობის რიგინათ წაყვანისათვის.

ბ) თუ კომიტეტი მრავალ რიცხოვანია და ადგილობრივი მიზნებით ვერ შესძლებს ხშირათ შეკრებას, თავისგან ირჩევს მუდმივ კომისიას, რომელიც უძღვება ყოველ ღლიურ მუშაობას.

გ) რაიონის წარმომადგენელი არის კომიტეტის წევრი.

2. რაიონული ორგანიზაცია შეიცავს საზოგადოებათა წარმომადგენელთ, მათ თანაშემწეებს, რაიონის წარმომადგენელს და მის თანაშემწეს და პროპაგანდისტს; ყველა გადამჭრელი ხმის უფლებით.

3. კომიტეტი მიიღებს რაიმე განჩინებას პარტიის და გურიის შესახებ კითხვებზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის დასმული და გადაჭრილი იქნება გურიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებში.

შენიშვნა. საჩქარო შემთხვევისათვის კომიტეტი იღებს განჩინებას დამოუკიდებლათ.

4. თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია კითხვა დასვას გასარჩევან სხვა პარტიულ ორგანიზაციებში (რაიონის, პროპაგანდისტთა და კომიტეტის) და მოითხოვოს მისი გადაჭრა.

5. რაიონის ორგანიზაციები ავტონომიურათ განაგებენ თავის ადგილობრივ საქმეებს;

6. რაიონის ორგანიზაციებს გადამჭრელი ხმა აქვს პარტიულ და გურიის შესახებ კითხვებში.

7. პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ორგანიზაცია შეიცავს ყველა პროპაგანდისტს და აგიტატორს.

შენიშვნა. პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ორგანიზაციის წევრათ მიღებამდის კანდიდატმა უნდა განვლოს მუშაობის რამოდენიმე საფეხური.

8. ორგანიზაცია პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ავტონომიურათ განაგებს თავის შინაგან საქმეებს.

9. ორგანიზაცია პროპაგანდისტთა და აგიტატორთა პასუხისმგებელია თავის წევრთა მუშაობისათვის.

10. ორგანიზაციას პროპაგანდისტთა და აგიტატორთა გადამჭრელი ხმა აქვს პარტიის და გურიის შესახებ კითხვების გადაწყვეტაში ისე, როგორც სხვა ორგანიზაციებს.

11. ორგანიზაცია პროპაგანდისტთა და აგიტატორთა იკრიბება დრო-გამოშვებით, იმუშავებს პროპაგანდის და აგიტაციის სისტემას, აყენებს და ამუშავებს თემებს პროპაგანდის და აგიტაციისათვის და ადგენს ამა თუ იმ კითხვაზე საერთო შეხედულობას.

ამასთანავე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: რადგანაც პარტიულ ორგანიზაციის ეს პლანი მთელი თავისი საფუძვლით ამჟამათ ვერ განხორციელდება, ამიტომ პირველი მუხლი მოვიდეს სისრულეში შემდეგ გაძლიერებული სოციალდემოკრატიული პროპაგანდისა. მანამდის კი ძალაში უნდა დარჩეს რაიონის წარმომადგენელთა ორგანიზაცია, რჩევის ხმის უფლებით.

გურიის პარტიული მუშაობის ამნაირი ორგა-

ნიზაცია სისრულეში შედის თანდათან, რის ხელმძღვანელობა ენდობა კომიტეტს, როგორც ყველაზე უფრო გამოცდილ ამხანაგთ.

მეორე გასარჩევი კითხვა იყო ხალხის თვითმართველობა. ეს ყველაზე უფრო რთული და მძიმე კითხვაა. მთელი ადმინისტრაციული და სამართლის საქმეები ტვირთათ დააწვა ორგანიზაციას. კრებამ გადაწყვიტა იდვიურათ მხარი დაუჭიროს ამ რევოლუციურ მიმდინარეობას (მთავრობის ბოიკოტი), მაგრამ მოერიდოს გლეხების თვითმართველობაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს. ამ გადაწყვეტილების განხორციელება გაძნელდება, რადგანაც ხალხი კიდევ ვერ მოეჩვია მართლა თვით—მართველობას. ხშირათ გაიგონებთ სოფლებებისაგან: წინეთ მთავრობის ჩინოვნიკებს მივმართავდით, ახლა ისინი უარყავით და თქვენ უნდა გვასწავლოთ საქმეების მართვა, სხვას ვის უნდა მივმართოთ თუ არა თქვენ? თუმცა სამედიატორო სამართალი ჩვეულებაში შემოვიდა, მარა მისი გადაწყვეტილება ხშირათ სისრულეში არ შედის. ხალხი ითხოვს ამის გამო ძალდატანებას. კრებამ ასეთ ძალდატანებით იცნო „გაწესრიგებული ბოიკოტი“, ე. ი. სამედიატორო სასამართლო ეს განჩინება გამოაქვთ საზოგადოების ყრილობაზე და აქვე ყრილობა სწყვეტს, როგორ უნდა მოეწყოს „ბოიკოტი“.

მესამე კითხვა იყო პროპაგანდის და აგიტაციის მოწყობა გურიაში. რაც შეეხება პროპაგანდას, კრებამ დაადგინა: მცხოვრებლები გაიყოს ორ ნაწილათ, ერთში შევა ახლანდელი თუ მომავალი (რომელიც ამის იმედს იძლევა) წევრი პარტიის და მათ საფუძვლიანად გადაეცეს პარტიის პროგრამა, აენხნას ტაქტიკური და ორგანიზაციური კითხვებიც; ხოლო მეორე ნაწილში შედის დანარჩენნი, უმრავლესობა, რომელთათვის საჭიროა პროპაგანდა—აგიტაცია. ამასთანავე გამოითქვა ის აზრი, რომ გურიისთვის აგიტაცია საჭირო აღარ არის, მთელი ხალხი უკვე მოძრაობაშია ჩაბმული. დიდ კრებებზე უმთავრესათ უნდა გატარდეს სოციალდემოკრატიული პროგრამა და სახეში იქონიონ მსმენელთა გონებრივათ ამაღლება. აქვე დაისვა რამოდენიმე კითხვა, რომლის ახსნა-გარკვევა გურულებს დიდათ აინტერესებს. აი ეს კითხვები: 1) დამფუძნებელი კრება და ნამესტნიკის ჩამოსვლა, 2) სხვადასხვა პარტიები, 3) დემოკრატიული რესპუბლიკა და სახელმწიფოს სხვა წყობილება.

კრებაზე რაიონებმა წარმოადგინეს მოქმედების ჯანასკნელი თვის ანგარიში. აი ზოგი ცნობები: ჩოხატაურის რაიონი: 3 მოწინავე წრეა და ერთიც შუათანა; მოხდა ოცი კრება, რასაც დაესწრო 150—2,000 კაცი. ლაპარაკი იყო დამფუძნებელ კრე-

ბაზე. იყო აგრეთვე სამაისო მიტინგი. პოლიციამ გამოსცა ფურცელი, კომიტეტი არ არსებობს და ფულს ნუ მისცემთო! ოზურგეთის რაიონი: მოწინავე წრე არ არის, რადგანაც რაიონული ორგანიზაცია სოფლებითა „საქმეებს“ მოუხდა; ხშირი თავსდასხმა მარტო მაჰმადიანებზე, რაც პოლიციის საქმე უნდა იყოს, რომ მათ და ქართველთა შორის განხეთქილება ჩამოაგდოს, იყო 5 კრება (150—200 კაცი), სადაც აიხსნა ჩვენი პროგრამის მინიმუმი. ქალაქში იყო კრებები ნოქართა და შეგირდთა, სადაც, სხვათა შორის, გაირჩა კითხვა „უმცირესობის“ და „უმრავლესობის“ შესახებ. სუფსის რაიონი: ერთი მოწინავე წრეა: იყო 9 კრება (60—300 კაცი) აქ ერთ საზოგადოებაში წრის თავები (40) შეადგენენ სასამართლოს, რომელსაც საჯაროთ სხდომები აქვს ორ კვირაში ერთხელ. განჩინებას ემორჩილებიან. ბაზვის რაიონი: იანვრის შემდეგ ორი კრება იყო; სამედიატორო სასამართლოს განჩინება სისრულეში არ მოყავთ; ლანჩხუთის რაიონი: ერთი მოწინავე წრეა; კრებები არ ყოფილა; ქალები თხოულობენ წრეებს. მედიატორეთა განჩინებას არ ემორჩილებიან. ნიგოთის რაიონი: მოწინავე წრე არ არის, მოხდა 4 კრება; მედიატორეთა განჩინებას ხშირათ არ ასრულებენ. ხალხი თხოულობს ძალდატანებას; მოსამართლეთ ირჩევენ ორი თვით; უმაღლესი ინსტანცია საზოგადოების ყრილობაა; ტერორისტთა რიცხვა იკლო. ქალები თხოულობენ წრეს. აქ განხეთქილებაა ღალის შესახებ, ზოგი ისევ ბოიკოტის გაგმელებას თხოულობს. ხიდისთავის რაიონი: ერთი მოწინავე წრეა; მოხდა კრებები, უკანასკნელს დაესწრო 1500 კაცი, ლაპარაკი იყო დამფუძნებელ კრებაზე. ამ კრებაზე წამოაყენეს კითხვა „უმცირესობა“ „უმრავლესობაზე“, ავტორი მას აქ არ შეეხო და გადადვა წრეებში ასახსნელათ.

საღდათებთან ყოველგან კარგი განწყობილება აქვთ. არაერთი სხვა პარტია, გარდა ჩვენისა, გურიაში არ მუშაობს.

**მინაური მიმოხილვა.**

ყოველივე მართლად დიდ რევოლუციას თან ახლავს აგრარული რევოლუცია. როცა ქაჯაქებთან ერთათ სოფლებიც მოძრაობენ და გლეხები მიწათმფლობელობის ახალ წესებს თხოულობენ, ქვეყნის ძირითადი გადასწავლერება აუცილებელია. საფრანგეთის დიდი რევოლუცია ვერ იქნებოდა დიდი გლეხთა აუფანებლათ. და აი, რუსეთის რევოლუციაც უფროდარეფორმ ემსგავსება საფრანგეთისას. გლეხთა მოძრაობა ისევ გამძაურდა რუსეთში, სოფელი ისევ აბობქრდა და არსებული წილობების წაღვევას ებირება. და ასე თვითმშერობელობას ყოველი

მხრიდან აწვებიან და მასზე იერიშით მიდიან. და ისიც სასიკვდილოთ გამზადებულიყოთ მაგრათ ებღუჭება სიცოცხლეს და ყოველნიერ ხერხს ხმარობს ტოლდოლო სუფლის შესახებნათ. ასეთ ხერხთაშორისა სწავტიო ალაგი უჭირავს მის მიერ შეხანსლულ კომისიებს, რომელთა შესახებ არა ერთხელ გვილაშარავია. ერთი ამ კომისიათაგანმა კიდევ გვამცნო თავის თავის არსებობა და ქვეყანას გაბედნიერებას დაზიარდა. ეს განლავს გარემიკინის საგლებო კომისია. მან გამოაცხადა, შემოდგომასე კომისიაში მოვიწვევ გლეხთა არჩეულთ „განმარტებათა და ზასუხების წარმოსადგენათ“ გლეხთა ყოფაცხოვრების მოწყობის შესახებო. აი ახალი მახე გლეხთა დასჯერათ დაგებული. თქვენ მოითმინეთ, ნუ დეღავთ, შე როცა იქნება შეგვეითხები თქვენს გაჭირებაზე და ყოველივეს ჩინებულათ მოგაწყობო — მიმართავს გარემიკინი გლეხობას. ხალხო გლეხობა კი მაინც დეღავს, მას ბიუროკრატთა „გულშემტკიცებობა“ აღარ სჯერა. ჯერ ერთი, რატომ გარემიკინის კომისიამ უნდა გადაწყვიტოს გლეხთა კითხვა და არა თვით გლეხებმა? გაჭირებულის მდგომარეობას განა დაღხინებული მიხედება? გლეხები თვითონ აინჩევენ საგლებო კომისიებს და აი ესენი მოავგარებენ მიწათმფლობელობის საქმეს. მეორეთ, გარემიკინი მათ მხოლოდ ზასუხის მიცემის უფლებას აძლევს თავის კომისიაში, თუ ეს ზასუხი ჭკვამი დაუჯდა ე. ი. თუ ის შემამულეთა სასარგებლოდ დარჩა, მაშინ რასაკვირველია ორივე ხელით ჩააფრინდება და კანონათც აქტევეს, თუ კი გლეხების არჩეულნი გლეხების სასარგებლოთ ალაშარაკდენ — ზასუხიც ზასუხათ დარჩება და მოზასუხინიც შეიძლება დასაჯონ. მესამეთ, განა გლეხთა კითხვას ცალკე, სხვა კითხვებზე დამოუკიდებლათ, შეიძლება გადაიჭრას? აგრარული რევოლუცია მხოლოდ ერთი მხარეა საერთო რევოლუციის და, მაშასადამე, მისი მსუფლოობა მჭიდროთ შეკავშირებულია უკანასკნელთან. რამდენათ ოკოთმშერობელობა დეტემა და ხალხი სახელმწიფოს სათავეში ჩადგება, იმდენათ გადაიჭრება ყველა დევეანდეული კითხვა და ამათ შორის საგლებოც. გარემიკინის კისურს ეს ცალკე გამოეოს, თავის კომისიაში მოამწუვდოს და იქ ყელში ხელი წაუჭიროს. მოძრაობის ასეთი დანურდავება, დაქსაქსვა და მით მისი განადგურება — მთავრობის დიდი ხნის პოლიტიკას და აი ამას გვზიარდება გარემიკინიც.

ბიუროკრატის ოინებს მხარს უჭერს სოფლის შავის რაზმების თარეშობა. ამ ნიადაგზე დიდი უნარი გამოიჩინა განსაკუთრებით ქართლის ბრწინვალე წოდებამ. არსად მთელ რუსეთში „ბრწინვალე“ არ ჩამოქვეითებულან შავ რაზმამდის; სამაგიეროთ ქართველთავად აზნაურობამ არ ჭამა ჯაბანი და რუსეთის თავის მოძენი გამოიხსნა ამ „სირცხვილისკან“. ის შეიარაღდა და ბრძოლის ველზე თავმომწიკნეთ დგას. და რადგანაც ყოველ „დრუჟინას“ სამომარი იარაღი და სურსა-



თი ეჭირვება, ქართლის შემტყობი იერიშით შივიდეს სათავად-ახანურა ბახეზე, მოგვეტოთ ჩვენი წილით. თავად-ახანურთა კრებაზე გამხსნდა, რომ ქართლის „ძაგრაზმის“ იდეოლოგიებიც უფლიათ და თვით ის თავად-ახანურობა, რომელმაც ამას წინეთ „დემოკრატიული ავტონომია“ ითხოვა, გაძაგრაზმებულა. აი ერთი ამ იდეოლოგთაგანის „რეჩი“: „აქ ამბობენ ეს თხფანა (ძაგრაზმელების) კერძო პირებისათ. ეს ტყუილია. თუ არ ვცდები ამ თხფანაზე ხელი უწერია თავ. გიორგი ამილახვარს“ და სხვ. აი „ორატორი მიძის“ საიუთები: რაგი გ. ამილახვარს უწერია ხელი თხფანა კერძო პირების არ უფილია! ეს ამილახვარი განლავს ძაგი რაზეების შეთაური, ქართლის „შილიციის“ „დეხურალი“ და „იდეოლოგიებიც ამტვიტებიც ის კერძო პირი აღარ არის. ბოლოს ეს „სახოგადო მოღვაწეც“ აღაპარაკდა. „ამდენა ხალხს რას გვიპირებთ, შეუვირა მან პრისხახეთ კრებას, უნდა დაკინონცხეთ რადა? წავართვეს მინდორი, ტყე, ველი, რქების არ ვადგებთ, არ ვჩივითთ“. („ივ.“ 12 97). და თავად-ახანურთამაც დაემორჩილა შილიციის ბელადს და შიართვა მძის ხარჯები. როგორც ხედავთ ეს ჩვენი „დემოკრატი ავტონომისტები“, ეს ჩვენი ხაციონალისტების შიერ ქებული „მოღვაწეები“ „ძაგრაზმის“ ჩამტყვეითებულახ, ეს წოდება თანკის ფუფლებს არიგებს სამტყაქაქო მძის დასაწეუათ, თავად-ახანურთა გლეხებზე მისასვიათ. ეს შეტაკება უტვტილია არ დაიგვიანებს. სანდა შიანხლოვებულია კლოობა, ხამუშეკარის გაფოთა, გლეხები რასავირეულია, შეათედის შეტს არ მისცელებ იარძი, ხოლო შთაში უფრო ხაკლებსაც და აი ავტონომისტთა დრუჟინა შეუდგება ეკონომიურ კითხვის ხმლით გადაწვეტანს. ჩვენი შიკიწოდით ქართლის გლეხთა რეგანიხაციების ახლავე შიკიხადონ და შიძინდურთ სკადრისათ დახვდები..

ჩვენი ხაციონალისტები გუფს შინც არ იტყენ, ისინი თავისკენ აწოდებენ სხვა ერთა ხაციონალისტთ და ასე სურთ ერთი საერთაშორისო რაზმის შედგება. ჯერ-ჯერობით იმათ თათიირი გამართეს მუსულმანებთან და აქ კიდევ ერთხელ გამამკარავეს თავისი სულის კვეთება. თავისი ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია შითათ თავზე შიანხიეს, გინდა თუ არა „ამ ხიდაგზე დადექითთ“. ე. ი. ქართულ ხაციონალისტთ საჭიროთ დაუნახეთ თათრებს შიანიტონ ეროვნული ბატონობა ისეთ პრინციპებში, სადაც ისინი სხვა ერებში შიანხლოვებენ და შითათ შერეულია, როგორიცაა შიკ. განჯა და სხვა გუბერნიები. და ამაკე დროს შიძინობასაც ვითომ ესრჩლებთან, მავშადიანებეს ეხვეწებიან ქიშობა შიანხეთ! აი ამკარა ფარისევლობა. განა ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, ერთი ერის შიერეზე გაბატონება ქიშობის დაკინება არ არის? ისინი საქმით ერთ ერს შიერეზე ახვედრებენ, სიტყვით კი თახხიბას ქადგებენ! აი გულშერეულითა შისატყუებული საკები! შიკრამ ასე გასიძვეთ, შიკშადიანებს, შიუნედავთ თავისი კონსერვატიული ახროვნებისა, ამ საერთა შიორის ბრძოლის დროშა უარეულით და ქართულია წინადადება არ შიუდათ. შიძინ ეს უკანახელებიც უკან დაწეულახ და ძალაუბერათ ერთა თანახლოობის შიანხიძვეზე დათახხიებიათ. თვი-თეული კრი თავისუფალი უნდა იყოს თავის შიანხურ

საქმეების შიწეობაში—ადარებენ ისინი და შით თავის ბატონურ ავტონომიას ძირს უთხრან. თუ კი შიკ. საქართული სახლოვებში სხვა ერები თავის თავის ბატონები იქნებიან, მაშინ შირტო ქართულია რომ ვეღარ იბატონებს საქართულიაში და ასე გაქრა ტკბილი ცინება! ამ ლოდიკურ უკუდმართობას, ამ პრინციპულ ხანტოების ჩვენი რანდი ავტონომისტები, რასავირეულია, არ დასდევენ; შით პრინციპა ბეგრანიჩი აქვთ, ხან ერთს გამაჩვევებენ, ხან შიერეს, იძის და შიხედიით თუ ვის ესაუბრებიან, ჩვენს თავად-ახანურთ სხვა ერებზე გაუფრესებით იხხრობენ, მუსულმანთ კი ერთა თანახლოობით.

ამ ბოლო დროს ჩვენი ხეტებიც კი აფორიაქდენ. შიკი შირი შირტებელია, ნათქვამია და შითაც ასე შიუვიდათ. როცა კახაკთა მუჟღეუენი შითაც შიხვდათ—ევირილი შირთეს, გვიშეკვლეთ, დავანტრიოთ თვიომიურთა-ბელობა. ამ წოდების ისტორია გამიხატება რ სიტყვაში: ის ემორჩილება ძალას. ამდენ ხანს ძალას შიანხრობა წარმადგენდა და სმდგეულია უკველივე შის ძამომრეობას აშართლებდა და ღვთიურ შიოვლენათ ადიარებდა. ახლა შიანხრობას ძალა გამოყლია, დასუსტდა და ხალხი ძლიერდება. სმდგეულია შირს იბრუსებს და, ვითომ ანაუერიო, ხალხის ქიშაკათ გამოდის, იმ ხალხისა, რამდის დარბევაში ამდენი წილი უდევს. ხოლო როცა შით სუმიხარიის წინ რექტორის ბრძანებით შიანხრობის ჯალათებმა თავ-შირი დასისხლიანეს, პრინციპიც შიანხლოვა გამოცხადეს და გამოძიებაც დაანიშვიეს. სად იყავით, მაშა, ამდენ ხანს, რატომ ხმას არ იდებთ იმ უთვალავ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც თქვენს სამრეკლოში ხდება? უკველია სისხლის ღვრა, უკველია კახაკები დათარეშები, ვაცებს ხოცვებ, ქალებს აუბატონებენ, ქანების იტაცებენ და თქვენ ეველა ამის შეშერე—სდუმთ და შით ადასტურებთ. რატომ? ცხადია, რატომ, ეს კახაკები შეშეულია შიერ შიწეულია, ისინი აშითი შიშეულია ჯარია და შიღვლეებიც, ეს თავად-ახანურთა შედმივი ერთგულნი, ბატონების შიანხ უტყენ და გლეხთა აწიკიას გულგრილით შეუერებენ. და სანამ სმდგეულია დარჩება სმდგეულიათ, საიქიან შიციქულიათ, შიანხდის დარჩება შიანხრობილიათ ძლიერთა ში სოფლისა და შიწინააღმდეგეთ ჩიგრულიათ. პრინციპიალის შიძინობას დევს შისზე გავლენა აქვს, მასაც ასე თუ ისე ახორქეს, შირა ეს იმდენათ, რამდენათ შისი შიგვამარება საფრთხეშია, შისი ბატონობა შიერეულია. და აი, ახლა ის ცდილობს ხალხთან შიკვლეებით ადიდგინოს დაკარგული გავლენა და დაიბრუნოს პატივი და დიდება.

**ალექსანდრე წულუკიძე!**

გაუთ კვირაში ულომობლმა სენმა ბოლო მოულო ერთს ჩვენს ამხანავს—ალექსანდრე წულუკიძეს. იმდროს, როცა ამდენი სამუშაოა, როცა ბრძოლა თანდათან რთულდება და შირავი ენერგიულ მუშავთ მოითხოვს, ალექსანდრეს დაკარგვა დიდ დასაკლისათ უნდა ჩიითვლოს. ალექსანდრეს ლეგალური მოღვაწეობა ყველამ იცის, ის ყველასათვის

ადვილათ დასანახავი იყო. სამაგიეროთ მისი არალეგალური მოქმედება, მისი პრაქტიკული მუშაობა ცოტამ იცის და არც შეეძლო მრავალ სტატიას დაეძინა. ის მუშათა მოძრაობაში პირველათ 1899 წ. ჩაერია თფილისში. უნდა იცოდეთ, რა უკაცობა იყო ამ დროს ამ ახალ ასპარეზზე. მაშინ ეს საქმე სასაცილოთ მიაჩნდათ, თითებზე ჩამოითვლებოდა იმ ინტელიგენტთა ვინაობა, რომელსაც სჯეროდა მუშათა მოძრაობა, ხოლო პრაქტიკულათ მომუშავენი ხომ უფრო ცოტა იყო. ამდროს ამ ასპარეზზე გამოცვლა და საქმეში ჩაბმა ინტელიგენტისათვის ერთნაირ გმირობა, მოასწავებდა და ამ პირველ მერცხალთ მუდამ მაღლივრათ მოიხსენიებს შთამომავლობა. ალექსანდრე შეუდგა მუშათა წრეებში პრაპაგანდას, განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიისას. მისი მკაფიო და შინაარსიანი ლაპარაკი მუდამ დიდ შთაბეჭდლებას ახდენდა მსმენელზე. ამასთანავე მისი პირადი ხასიათი, ამხანაგური დამოკიდებულება და გულკეთილობა დიდათ იტაცებდნენ მუშებს მის სახლში მუდამ ნახავდით ამხანაგთ ან მუშას, ან ინტელიგენტს. მისას მოხდა მოწინავე მუშათა და ინტელიგენტთა პირველი სახალწლო ნადიმი. ახლა ასეთ ფაქტს ყურადღებასაც არაუინ მიაქცევს. მარა მაშინ, იმ საერთო დავრდომილობის და უკაცობის დროს, თვითული აეთი პატარა მოვლენა გვალაპარაკებდა და გვამხნეებდა. მაშინ ერთათ ერთი ალექსანდრეს ოჯახი იყო, სადაც ამხანაგთ შეეძლოთ მისვლა და იქ თავის თავი თავის სახლში ეგრძნოთ. სამწუხაროთ ეს დრო დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. მტის მეტი ხელმოკლეობამ აიძულა ის ბათომში გადასახლებულიყო ძნელი შეიქნა მისთვის თფილისის დატოვება, თითქმის თვალცრემლიანი გამოეთხოვა ამხანაგებს და წავიდა მხოლოდ იმ აზრით, რომ ისევ საჩქაროთ გადმოსახლებულიყო. ბათომში ის მონაწილეობას იღებდა საკვირაო სკოლაში. ბათომიდან ჩქარა ისევ ქუთაისში დაბრუნდა და იქ პირველათ მოსწავლე ახალგაზრდობაში შეუდგა პრაპაგანდას 1903 წ. ის დაესწრო კავკასიის კავშირის მეორე კრებას, როგორც იმერეთის კომიტეტის დელეგატი და კრებამ აირჩია კავშირის კომიტეტის წევრათ, რათაც სიკვდილამდის დარჩა. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა კავშირის ორგანოს „ბრძოლის“ შედგენაში და გამოცემაში უკანასკნელათ ის დროებით გადმოვიდა თფილისში, სადაც უნდა რამდენიმე დღე იყო და მეტეხში ჩასვს. მარა საბუთი ვერაფერი უპოვეს და ისევ ჩქარა განთავისუფლეს. ყველა ამ დავიდარაბაში მისი უღმობელი სენი, ჭლეტი, თანდათან ძლიერდებოდა და კიდევაც მოუშპო სიცოცხლე. თფილისის სოციალდემოკრატიამ მისი კუბო შეამკო გვირგვინით და დასაფლავებზე დელეგატი გაგზავნა. გვირგვინის წითელ ლენტებზე ეწერა: „დაუვიწყარ ამხანაგ ალექსანდრე წულუკიძეს, თფილისის სოც.დემ. მუშების და მათი კომიტეტისაგან“.

დაუვიწყარი იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო!

**წერილები უცხოეთიდან**

I

დღეს კავკასიაში უცხოეთიდან კორესუბანდენციების წერა ძნელია. რევოლუციის ელვამ, რომელიც უფრო და უფრო ხშირათ აშუქებს რუსეთიდან, ჩაჩრდილა, ფერი დაუკარგა დასავლეთ ევროპის შინაურ საქმეებს. და ეს არა მარტო იმით თვალში, ვინც რუსეთიდან გადმოხვეწილა. აქ ვეკვამ მუშა, ბურჟუა, ფეოდალი, რი და ბერი სულგანაბული შესტკერის რუსეთს. ევროპა გრძნობს, რომ ვეკვამ მის შინაურ საქმეებზე უფრო „შინაური“ მისთვის ახლა რუსეთის რევოლუციას, რადგან თვითმპერობელ ვიშაპის დაცემა რუსეთში მასშიაც შესცვლის ერთიანათ შინაგან ძალთა განწყობილებას.

და აი, ვეკვამს უნდა ასე თუ ისე მიიღოს მანაწილეობა რუსეთის საქმეებში. რეაქციის მომხრენი ცდილობენ დასტენ რუსეთის რევოლუციის სახელი და არავითარ ზომას არ კრიდეციან, რომ ხელი მოეუძრთონ

თვითმპერობელებას. „თავისუფალ“ გერმანიის შთაგრება ჯაშუშებით და ზოლიციით სდევნის სახლგარს გადამსულ რუს რევოლუციონერებს და, რომ გერმანულ სოციალდემოკრატიის არ ემიხოდეს, ისეც დღეს დასტენება, როგორც, მკობი, რუსეთშიაც არ შოსიხმრებიათ. რესპუბლიკანურ საფრანკეთის შთაგრებაც ებლაუკება თავის თვითმპერობელ შაკავშირეს. უცხო საქმეთა მინისტრი შოტეულ აღმოსავლეთის ზონტებს უხსნის რუსეთის ესკადრას, რომ ხეიტრალატიტის დარღვევით ერთი გამარჯვება მაინც არგუხოს სახელგატყნილ რუსის შთაგრებას. და აქაც მხლელთ მუშათა ზონტის შედგარი წინააღმდეგობა ახვეინებს უკან სამუს დაკარგულ დიშლემატებს.

ლიბერალები საქმით თუ არა (საქმეს ისინი კარგა ხანია გადაწყვიტეს), სიტუვით მაინც ეხმარებიან თავის ნარჩ მწაწევის რუსეთში და თახჯრძხობით ეკუებიან ეოგულ ღამაზ რევოლუციას, რომლის თხზვით დღეს „ისტორიულ ვაღის“ გაღანდას ცდილობს რუსეთის „მწინავე საზოგადოება“, ერობებით დაწეული და საქართველეს შოცლილ ხაციფხადისტუით გათავებული.

მუშა ხალხი კი, თვითონ განშთავისუფლებულ ბრძოლაში აღზრდილი და გაკავებული, ჭაბუკურის აღტაცებით ისტეს რევოლუციის ტექა-ქენილს რუსეთიდან და შხათ არის შხარში აშკუდტეს რუსეთის გმირ აშხახაკებს. არავითარ დევნას არ კრიდეცა ის, რომ თავის შკერდით დანიფარეს უცხოეთში რუსი რევოლუციონერები შთაგრების ძალმომრეობისაგან და გაუადვილეს მუშათა და აქ, ამ თავგანწირულ ბრძოლაში, იოდეკვა ხაციფხადური ზღუდეები ევროპის და რუსეთის მუშათა შორის, რომლებიც ერთ შკამარ რაზმით დგებიან კლასობრივ დრამის ქვეშ. რეაქციის შამხრეები თავის შხრივ ხელს უწვდენენ ერთმანეთს ევროპიდან რუსეთში, რომ საერთო მტერი საერთო ძალით დაამარცხოს.

აი, შაკალით, განთქმული „გენიგსტერგის საქმე“. ბრადდებულთა სკამზე ზრუსიელი სოც.-დემოკრატიები შიან, რომლებიც რუს ამხანაკებს ეხმარებიდნენ რუსეთში რევოლუციონერ ლიტერატურის გადატანაზე. შთ წინააღმდეგ საქმე აღძრა ზრუსიის შთაგრებაში კვიგსტერგის სასაშარტლეს წინაშე. და რადგან ზრუსიის კანონებით მხლელთ იმ შეშთხვევაში შეიძლება მათი დასჯა, თუ წინათ რუსეთთან ამის შესახებ ხელ შეკრულთა არსებობდა, ზრუსიის შთაგრება არ დაერიდა ტუეილს—დაინ, ასეთი ხელ შეკრულთა არსებობდა, თუ არ გვერათ, ჭკითხეთ რუსეთსო. და როდესაც სოციალდემოკრატიამ ეს სიტრუე გამოაშუაგნა, ცხად-ჭეო მთელი ქვეუხისთვის ზრუსიის შთაგრების შეთქმულთა რუსეთის თვითმპერობელებასთან საკუთარ მოქალაქეთა უკანონოთ დასასჯელათ, მაშინ მთელ კულტურულ ქვეყანაში გაისმა აღმფეთების ხმა ზრუსიის შთაგრების წინააღმდეგ. აქვე გამომყდუნდა კიდევ ერთი ფაქტი. ვეკვამ ის ადგილები საბრადმდებლთ რქში, რომლებიც დაჭერილ ბრძოლებიდან იყო გადმთარგმნილი რუსის კანსულის მიერ—ყალობი გამოდგო. ეს ზადდოცი რუსის და ზრუსიის შთაგრებას დასჭირდათ მისთვის, რომ სოციალდემოკრატიულ წიგნებში ანარქიზმის ქადაგება აღმოეჩინათ და ანარქისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონებით სოციალდემოკრატიები დაესაჯათ. აი, რა ზომებით ებრძვის

ევროპის რეაქტია რუსეთის რევოლუციის. აი, როგორ თავგანწირულია ევროპის მუშა ხალხი რუსეთის განთავისუფლების საქმისათვის. და ასე, ეს ბრძოლა გრძელდება განუწყვეტლად. ზარღამენტებში, სასამართლოებში, ჟურნალ-გაზეთებში, ხალხის კრებებში — ყოველგან რუსეთზეა ღაზარაკი. მუშათა პარტიები ღაგმავენ საკუთარ მთავრობებს, ადგილებს ხალხში ზიზღს და სიძულვილს რუსეთის ჯალათებისა და მათ ევროპულ მოკავშირეთა წინააღმდეგ და უხვათ ჰქვამენ საზოგადოებაში ნათელირ დახმარებას რუსეთის ამხანაგებისათვის.

არ იფიქროთ, რომ ეს გატაცება რუსეთის საქმეებით აინსებოდეს ევროპის მუშათა მანურ ცხოვრების შიდუნებით. პირიქით, სწორეთ უკანასკნელი თვეები არის განსაკუთრებით შიდაური შინძესელოვან მოკვლენებით, როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის მუშათა ცხოვრებაში, მაგრამ უკვლავთერი ეს დანდილა რუსეთის მოძალამა დიდმა რევოლუციამ. როდესაც, მაგ., ხუთი თვის წინათ რურის მანქანები 200,000 მუშა გაიფიცა და მათი მოთავე გერმანიის სოციალდემოკრატიის სასტიკათ ებრძოდა მწარმოებლებს და მთავრობას, როდესაც გაფიცულთა რკანების საჩენათ ასი ათასობით იყო ფული საჭირო, სწორეთ ამ დროს გერმანიის სოციალდემოკრატიამ შეტერბურგში დახრილ მუშათა ცოლშეილის სასარგებლოთ 10,000 მარკა გადასცა თავის კანდან ჩვენს პარტიას. აი, რამდენათ გამჯდარი აქეთ ძვალ-რბილში კლასობრივ ერთობის პრინციპი ევროპის მუშებს და რამდენათ შეგნებული აქვთ მათ, რომ რუსეთის განთავისუფლების საქმე მთელი ქვეყნის მუშათა განთავისუფლების საქმესთან შვიდროთ არის შეკავშირებული. უხდა გენახათ წლეკანდელი მაისობა. ევროპაში. „ამ დღეს ჩვენთან ერთათ მთელი რუსეთის გმირი პრლეტარიატიც დღესასწაულდობს“ — აი, რა სიტუებით ათავებდა ღაზარაკს თითქმის ყველა მუშათა ორატორი საშაინო კრებებზე, და თანავრძობის გრადი ამბენთქდა ხოლმე ამ სიტუებებზე ათას მუშათა შეკრდიდან: „გაუმარჯოს რუსეთის შერძოლ პრლეტარიატს!“.

ასეთია ევროპის მუშათა დღევანდელი სულიერი შდგომარეობა. შედეგე წერილებში შევეხებით ორ შუთავრეს ფუქტს მათის ცხოვრებიდან, რომლებიც წელს გერმანიამ და საფრანგეთში მოხდა. ეს არის — დიდი გაფიცვა რურის მანქანებში და მისი შედეგი და სოციალისტურ პარტიათა გაერთიანება საფრანგეთში.

II

დღეს, 26 მაისს (ჩვენი რიცხვით 13-ს) პრუსიის\*) საკანონმდებლო კრებამ საოლოოთ დასდა თავისი მოჯავრი მუშათა დაცვის კანონ-პროექტს. და ის გამოწარებული ბრძოლა, რომელიც ამ ხუთი თვის წინათ 200,000 მუშის გაფიცვით დაიწყო რურის მანქანებში, ახალ შწვავე ხანაში გადავიდა.

რა იყო რურის გაფიცვა? რამ გამოიწვია, როგორ სწარმოებდა, რა შედეგი მოჰქვა მას? ამ კითხვების პასუხი ერთბაშათ შეგვიფანს გერმანიის დღევანდელ ცხოვრების შუა გულში და გერმანიელ მუშათა ბრძოლის სურათს გადავიშდის თვალწინ.

\*) პრუსია ერთი იმ ნემცეურ სახელმწიფოთაგანია, რომელთა კავშირი დღევანდელ გერმანიის იმპერიას შეადგენს.

რურის სამთო ოლქში, ვესტფალიაში, ნანშირის მანქანებში 200,000 მუშაზე მეტია, რომლებიც თავის ოფლით ამდინდებენ ერთ მუქა მუქათ ხორას. მათი შრომის პირობები აუტანელია. მუშაობენ ბნელაში, მღარაბი ნოტიოთ, ხშირათ შიგ ისე ცხელა, რომ სულის მოიქმაც ძხელია. მღარაბების მოწეობით პატრონები თავს არ იწუნებენ. უბედური შემთხვევები, რაც ხანი მიდის, მრავლდება, სხეულობა მატულობს, მუშის ცხოვრების ხანი თან და თან კლებულობს და ამავე დროს მუშათა დღიური ქირა წლით წლობამდე უფრო და უფრო ეცემა. ცარცვას და უფლებებს ზომი არა აქვს. თუ მუშამ ვაგონის ავსების დროს ნანშირს ქვა გააყოლა, მთელი ვაგონი „გაფუჭებულიათ“ ითვლება და არაფერი ეძლევა ამ ვაგონისთვის. თუ მეორე ვაგონშიაც ქვა აღმოჩნდა მუშის აჯარმებენ და ეს მაშინ, როდესაც წარმოების ბუნება ასეთია, რომ ხშირათ შეუძლებელია ქვა არ გადაეკას. უკვლავთერი ეს, და მასთან უხრდელი ქცევა მსახურებისა, ურიცხვი უსამართლო აჯარმები, — აგუბებდა ხელ-ხელა მუშათა გულში იმ აღშოფოთებას, რომელიც ასეთის საოცარის ძლიერებით ამბენთქა იანვრის გაფიცვის დროს. ფაალა აავსო შემდეგმა. მანავე მოსულ მანხის პატრონებს არ ეუთ მუშის ოფლით და სისხლით შესებილი მიფიფნები. მათ მაინდომეს შეიდეველის ცარცვაც. და აი, შეკრეს პირობა, ერთმანეთს შეტოქეობას ხუდარ გაუწყვეთ და ხელფანურათ ავსწოთ ნანშირის ფასით; მათ შეადგინეს ამხანაგობა, მთელი ბასარი სათარეშოთ ხელში ჩაიკდეს და წაწარმოებს ერთი ხუთათ და ერთი ათათ ჰეიდდენ. რომ ბასარზე მეტი საქმლის გამოსვლით მისი ფასი არ დეცემულიყო, ამხანაგობის თვითიულ წევრს შეუხდულეს ნანშირის გაფიცვის უფლები იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი მღარო ჰქვამდა. მაშინ ბევრმა მათგანმა, რომლებსაც ორი, სამი და მეტი მღარო ჰქვამდა, დახურა არხინათ ნაკლებ მოსავლიანი მღარაბები, მთელი მუშაობა უფრო მოსავლიანში გადაიტანა და ასე მთელ იმ ნანშირს, რომელიც მას შექძოდა გაუიენა, როგორც ყველა ამ მღაროს პატრონს, ის შრომოდ ერთში აწარმოებდა. მუშებს ეს ახალი წესი ახალ დოდით დაწვა. რამდენიმე მუშის ერთ მღაროში შეკრავებამ მანქანებში ჩასვლა ამოსვლისთვის ერთი ორათ მეტი დრო მოითხოვა და სამუშაო დღე ერთი საათით გაგრძელდა. მოთმინება გატულა. პარველ მანქანში, სადაც ეს წესი შემოიღეს, მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. „ვეუე ამდენი ტანჯვა“, თქვეს მათ და გაუგზავნეს კანტაღისტებს თავისი მოთხოვნილებანი. პასუხი მოკლე იყო! „თქვენ კონტრაქტის დამრდეველები ხართ, თქვენთან ღაზარაკი არ გვსურს“. და აი, როდესაც ეს პასუხი გამოცხადდა, საერთო გამშავება და აღშოფოთება მოელო შოელ რურის მიდამოს. „ბრძოლა მაგათ, ჩვენს სისხლის მსმელებს“ — გაისმა კიდით კიდემდე და ორას ათასზე მეტმა მუშამ, როგორც ერთმა კაცმა, მუშაობაზე ხელი აიღო. ეს ტალღა უცნრათ, ერთბაშათ მოსკდა, თვით მუშათა ორგანიზაციები არ ელოდენ მას. „ჭერ მზათ არა ვართ, უფრო კარგი დრო შევარჩიოთ“, ამბობდენ თავში ხელმძღვანელები, მაგრამ მასსიურ მოძრაობის ახვინთებულმა ტალღამ, როგორც ნაფოტი, ააფირფიტა ისინი და სტიქიურ ძლით ბრძოლისკენ გაიტაცა და გამართა ბრძოლა სასტიკი და დაუხოგავი.

მთელი გერმანიის სოც.დემოკრატიის ფეხზე დადგა. გაფიცულებს გამოცდილი ორგანიზატორები მიაშველეს. ყოველგან, სადაც რამეს შოვნა შეიძლებოდა, სოც.-დემოკრატიის საუკეთესო ორგანოები იწვევდნენ ხალხს გაფიცულების დასახმარებლათ, თვით პარტიის მმართველობამ 25,000 მარკა გამოიღო. პირველ სამ კვირას გერმანიის სხვა და სხვა კუთხიდან 150,000 მ. შემოვიდა. იმავე დროს ყოველ კუთხიდან, — ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, — მუშათა ორგანიზაციები ასი ათასობით უგზავნიდნენ გაფიცულ ამხანაგებს. 20 იანვარს ს.-დემოკრატიის ფრაქციამ რეისსტაგში (გერმანიის საერთო პარლამენტი) კითხვა დაუყენა მთავრობას, რას აზიარობთ მუშათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ: თუ კაპიტალისტები ნებით არ უდუღავენ ცარცვა გლეჯას, უნდა სახელმწიფომ კანონით შესწავიფოს მათი წრეს გადასული თარეში. ყველა ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა მთავრობას. მის თვალ წინ რურის მანებში ბურჟუაზიის სიმადრეები ინკრეფა და სოც.დემოკრატიადღითი დღე თავის გავლენას აძლიერებდა. გაფიცვამდის რურის მუშებში ფეხი მოიღვა სხვადასხვა ბურჟუაზიულმა ორგანიზაციამ, რომლებიც „კლასთა თანხმობის“ და „სარწმუნოების დაცვის“ ნათა მიხედვით მუშებში კლასობრივ შეგნებას. და ახლა, ამ გამოწვევებზე ბრძოლის დროს მოტყუებულ მუშებს თავალი თანდათან ეხილებოდათ. მათ გვერდით, მათთან ერთად იბრძოდა და თავის მკერდით ეკებებოდა მტერს სოც.-დემოკრატია, და რეტ დასხმული „ძველი მეგობრები“ კი ბრძოლის დროს ფეხებში ეხიარებოდნენ მუშებს და რადგან ებუტებუტებოდნენ „სოც.-დემოკრატიის მეტის მეტ მოთხოვნილებებზე“.

შეშინებულმა მთავრობამ აღუთქვა მუშებს, ოდნოდ შესწავიფოთ გაფიცვა და უმთავრეს თქვენს მოთხოვნილებებს კანონით დაგაკმაყოფილებთ. მუშებმა კარკათ იტოვდნენ ამ დაპირების ფასი. უმთავრესი მათი მოთხოვნილებაა. ქირის მოწესრიგება არც კი იყო ხასიყნები მთავრობის დაპირებაში. და ამასთან ამ შეკვეცილ კანონ-პროექტის შეტანას მთავრობა რეისსტაგში კი არ აზიარებდა, არამედ პრუსიის ავტონომიურ ლანდტაგში, ამ კაპიტალისტთა და ფეოდალთა სათარეშო ბუდეში, აქა და ეს საქმე პრუსიის „შინაურ“ საქმე არის\*). მაგრამ ერთი თვის საფრცხვამ ბრძოლამ მუშების მატერიალური ძალა

\*) საკონსტიტუციო ცნობრება ჩვენში, დღეს თუ ხვალ, დაიწყება, და ამიტომ მეტი არ იქნება ვნახოთ, რა „კონსტიტუციონურ“ ფოკუსით“ მიაღწიეს მას, რომ პრუსიის ავტონომიურ პარლამენტიდან მცხოვრებთა ცხრა მეათედი გამოირეკეს და ხალხის წარმომადგენლობა ხალხის მკამელებს გადაულოცეს. პრუსიაში მოქმედობს არჩევნების „სამ კლასიანი“ სისტემა. ყოველი საარჩევნო ოლქი სამ „კლასათ“ არის გაყოფილი ქონების და გვარათ. პირველ ორ კლასს ამრჩევლებისა შეადგენენ ისინი, ვინც შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა ორ მესამედს იხდის, მესამე კლასს კი — ვინც იხდის დანარჩენ მესამედს ე. ი. პირველ-ორ კლასში ერთი მუჭა მსხვილი მესაკუთრეა, მესამეში — მთელი დანარჩენი ხალხი. თვითოველი „კლასი“ ირჩევს ვერცთ ვოლდებულ „მეორე რიგის ამრჩევლების“ თანაწილ რიცხვს. შემდეგ სამივე კლასისაგან არჩეული „მეორე რიგის ამრჩევლები“ ერთად იკრიბებიან და ხშირ შემთხვევებით ირჩევენ ლანდტაგის დეპუტატს. ცხადია, ამ არჩევნებში საერთო ხმების ორი მესამედი პირველ ორ კლასის ხელშია და ყოველთვის თავის კანდიდატს გაიყვანს. აი, ამით მიაღწიეს მას, რომ სოც.-დემოკრატია, რომელ-

გამოიღოს. რასი ათას ოჯახის შენახვამ ერთი თვის განმავლობაში მილიონები შეიწირა და სად, როგორ უნდა ეშოვნათ ბრძოლის განსაგრძობათ ახალი მილიონები? მათ კიდევ სცადეს კაპიტალისტებთან მოლაპარაკება, მაგრამ ეს ვაჟბატონები კარკათ ხელადნენ მტერს დასუსტებას და ყველაფერზე უარს ამბობდნენ. 9 თებერვალს მუშათა საერთო კრებამ გადასწავიფა დროებით იარაღის დაერა და კანონ-პროექტის განხორციელებამდის გაფიცვის შეწყვეტა. ამით ბრძოლა პარლამენტარულ ასპარეზზე გადავიდა. და აი, აქ, ამ მიწვევას სკითხზე შეიხალა გერმანიის მთელი შინაგანი ძალები და მითი ურთიერთისადმი დამოკიდებულება დღესავით ცხადთ გამოჩნდა.

რა იყო მუშათა მოთხოვნილება და მთავრობის კანონ პროექტი? როგორ დაუხვდნენ ამ კითხვას კაპიტალისტული პარტიები? როგორ მოქმედობს ამ ასპარეზზე მუშათა პარტია? ყველა ამ კითხვის პასუხს შემდეგ წერილში დავინახავთ.

**ქ. კაუცკი „უმრავლესობის“ შესახებ**

როგორც იცით, „უმრავლესობას“ ძლიერ უყვარს თავისი აზრების დასამტკიცებლათ კაუცკის დამოწმება, თუმცა არასოდეს კაუცკი არ ამოწმებს მათ აზრებს. მაგრამ აქედან ჩანს, რომ ის კაუცკის აზრებს აფასებს და მას ავტორიტეტით ცნობს. „უმრავლესობის“ „იდეოლოგი“ ყოველთვის მოყვან კაუცკის ისეთი აზრები, რაც მას არასოდეს არ წარმოუთქვამს, ხოლო ის რაც წარმოთქვა, მალაყვენ და ხელს აფარებენ. და აი, ერთი ასეთი აზრი კაუცკიმ ამ ერთი წლის წინათ გამოთქვა თავის წერილში „უმრავლესობის“ შესახებ და მკითხველთა გასაცნობათ აქ მოვიყვანთ. ისტორია მისი წერილის ასეთია: ერთმა „მოუმრავლესემ“ კაუცკის გაუგზავნა სტატია მის ჟურნალში, „ნოიე ცაიტში“, დასაბეჭდათ შესახებ პარტიული განხეთქილებისა. ავტორი, რასაკვირველია, ქებას ასხამდა თავის ფრაქციას და ყველაფერში „უმცირესობას“ ამტყუნებდა. კაუცკიმ არ დაბეჭდა ეს წერილი და თავისი აზრი წერილითვე აცნობა ავტორს, ხოლო წერილის პირი გაუგზავნა „ისკრის“ რედაქციას, რომელმაც კაუცკის ნებადართვითვე მოათვსა თავის მე 66 ნომერში. როგორც ხედავთ, კაუცკიმ თავისი აზრი შეადგინა ამ საგანზე „უმრავლესობის“ ბიარალტარის სტატიით და მაშასადამე მას ვერავინ დასწამებს მიკერძებას და უმრავლესობის საბუთების გაუცნობლობას. აი ამ წერილიდან უმთავრესი აღგილები.

„ყველა ჩემამდი მოღწეული ცნობები ამტკიცებენ, რომ პარტიის შინაგანი განხეთქილების მიზეზია საორგანიზაციო წესდება, სახელდობრ, ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი, ის ვინც ორგანიზაციის წევრია, თუ ისა ვინც პარტიას მხარს უჭერს მისი პროგრამის მიღებით და მისი ორგანიზაციის

საკ პრუსიაში 1,600,000 ამრჩევი ხმა აქვს, ვერც ერთ დეპუტატს ვერ გზავნის პრუსიის ლანდტაგში. ვინ იცის, რამდენ ჩვენს „ავტონომისტ“ უცნობრება სანატრელი „სამ კლასიანი სისტემა“ ავტონომიურ — საქარუელს“ პარლამენტში

ზედამხედველობის ქვეშ მოქმედებით. ეს კითხვა რომ დაისვას ინგლისში, საფრანგეთში ან შვეიცარიაში, მე დაუყოვნებლივ პირველ წინადადებას ვარჩევდი. იქ სადაც სოციალდემოკრატიის შეუძლია აშკარათ თავისი ძალების ორგანიზაცია მოახდინოს, პარტიის წევრათ უნდა ითვლებოდეს ის, ვინც რომელიმე ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებს. რუსეთში კი ასე არ არის. იქ პარტიული ორგანიზაციის არსებობა შეიძლება მხოლოდ საიდუმლო საზოგადოების სახით, მაშასადამე რუსეთისთვის კითხვა უნდა დაისვას ამ ნაირათ: უნდა გაიძულოთ პარტიის თვითეული წევრი შევიდეს საიდუმლო ორგანიზაციაში? ანუ, სხვა სიტყვებით, პარტია უნდა შემოგფარგლოთ საიდუმლო საზოგადოების ჩარჩოთი? ეს კითხვა წამოყენებული იყო გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში მაშინ, როცა ის განსაკუთრებით კანონებს ექვემდებარებოდა (ე. ი. კანონით აკრძალული იყო) და პარტიამ ის უარყო. ჩვენი საქმის ინტერესი არ მოითხოვს პარტიის წევრათ მივიღოთ მხოლოდ ისინი, ვისაც შეუძლია ჩვენ საიდუმლო ორგანიზაციაში შესვლა. ჩვენი საქმის ინტერესი არ მოითხოვს არც იმას, რომ ყველა საქმისთვის თავდადებული საიდუმლო ორგანიზაციაში შევიყვანოთ. ასეთი ორგანიზაცია არ უნდა გადასცილდეს მინიმალურ საზღვრებს, თუ მას სურს მოქმედი იყოს და პოლიციიდანაც თავი დაიკვას. ჩვენთვის სრულიად არ არის საჭირო ადგილობრივი ორგანიზაცია გადავაცილოთ იმ საზღვარს, რომელიც ნაჩვენებია თვით პრაქტიკული მოსაზრებით თვითეული შემთხვევისათვის, ხოლო პარტიის გაფართოვებას კი არავითარი საზღვარი არ უნდა დაუდგათ.

„აქედან ცხადია მთელი განსხვავება პარტიასა და საიდუმლო ორგანიზაციის შორის.

„სოციალდემოკრატიის აკრძალვის დროს ჩვენ ვმეცადინებოდით ორგანიზაციაში შეგვეყვანა მხოლოდ ისინი, ვისშიაც ორგანიზაცია საჭიროებდა, ვინც მუშაობდა გამოცემის საქმეში, ტრანსპორტში და ლიტერატურის გავრცელებაში, ვინც კრებდა და ხარჯავდა ფულს, აწყობდა დემონსტრაციებს და სხ. მეორე მხრით მავნებელი იქნებოდა ორგანიზაციაში შეყვანა იმ პირთა, რომელთაც შიგ რეგულიარულათ არ უნდა ემუშავათ, არამედ, საჭიროებისამებრ, პარტიას ეხმარებოდნენ ფულით, პირადი მუშაობით, თან დემონსტრაციაში მონაწილეობის შილებით. რასაკვირველია, ჩვენ ვმეცადინებოდით ესენიც შეგვეკავშირებია პროფესიონალურ კავშირებში, მომღერალ ხოროებში და სხ. რუსეთში, რასაკვირველია, არც ერთი ეს არ შეიძლება, მაგრამ ჩვენშიაც ნამდვილ საიდუმლო საზოგადოებაში ეს შედარებით ფართო ორგანიზაციები არც კი შედიოდნენ...

„ამიტომ თქვენს კრებაზე, რომ მე ლენინს და მარტოვს შორის მომეხდინა არჩევანი, მე, გერმანიაში ჩვენი მოქმედებით გამოცდილი, გადაჭრით მარტოვს მოგეპზრობოდი.

„თქვენ ამტკიცებთ, რომ აქსელროდი და მი-

სი ამხანაგები ეკონომიზმის და ოპორტიუნიზმისაკენ მიისწრაფებიანო. მე არ შემიძლია ამ ბრძოლებს საბუთები ვანვიხილო, რადგან არ ძალ-მძალ-თქვენნი ლიტერატურა ვიკითხო... მაგრამ არ შემიძლია ეს დაეიჯერო: ამ მხრით დიდი ხანია ვიცნობ აქსელროდს, პლენანოვს და ზასულისს, ვიცნობ როგორც ნათელ და ლოლიკურათ მოაზრეთ და ახლა მე უცებ მარწმუნებენ, ისინი უფეროა, რამოდენიმე თვეში ერთიანათ გამოიცივალენო! უნდა ვიფიქრო, რომ ბრძოლით გატაცება გაიძულვებთ თქვენ ყველაფერი შავათ დაინახოთ.

„ოდესის კომიტეტი ახოულობს კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. მაგრამ, ზოგ გარკმობაში, კრება კიდევ უფრო გააფუჭებს საქმეს, და უფუჭელათ გააფუჭებს, თუ მისი მიზანი იქნება ერთ-ერთი მიმართულება ძალათ დათრგუნოს, რომელი მიმართულებაც ეს იქნება სულ ერთია. საიდუმლო საზოგადოების ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ისიც, რომ მისი ჯგუფების კრებებზე, როგორც საერთაშორისო კრებებზე, აუცილებლათ საჭიროა სახეში გეკონდეს უფრო შეთანხმება, ვინემ დათრგუნვა (კენჭით). განსაკუთრებით მაშინ, როცა ორი მიმართულება დაახლოვებით ერთნაირ ძალას წარმოადგენს, უმრავლესობა არც კი უნდა ცდილობდეს უმცირესობას თავს მოახვიოს თავისი აზრები, თუ სხვა რაიმე საშუალება კიდევ არის კითხვის გადასაწყვეტათ, და ეს იმიტომ, რომ კონსტირაციულ ორგანიზაციაში შემთხვევა ისეთ დიდ როლს თამაშობს, სხვადასხვა ორგანიზაციის ძალთა კანტროლი ისე ძნელია, რომ ადვილათ შესაძლებელია ის მიმართულება, რომელიც პარტიაში უმცირესობაა, კრებაზე კი უმრავლესათ იყოს წარმოდგენილი. ასეთ გარემოებაში მცირე ხმის უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას მაშინ აქვს ზნეობრავი ძალა, როცა უმცირესობა საჭიროთ ცნობს მას დაემორჩილოს. ყველა ამის შესახებ საჭიროა პირველ ყოვლისა კრებამდის მოხდეს შეთანხმება...

„თუ ორივე მხარე კრებაზე გამოცხადდება გადაჭრილი აზრით—დათრგუნოს და დაამციროს მოწინააღმდეგე, იმ მოსაზრებით, რომ საორგანიზაციო კითხვის მისი აზრის წინააღმდეგ გადაჭრა და აქცევს რუსეთის სოციალდემოკრატიასო, რასაც ყოველისავე საშუალებით წინაღუდგება, რასაკვირვლია,—ამ შემთხვევაში კრება კიდევ უფრო გაამწვავებს განხეთქილებას და გააძლიერებს პარტიის არევ-დარევას...

„თუ წინაწინვე არ ჩამოვარდება ორივე ბანაკის შორის დროებითი ზავი, თუ ჯორთიერთშორისი ბრძოლა გავრძელდება კრებამდის, თუ კრებაზე მოვლენ არა იმიტომ, რომ ამ დახლართული მდგომარეობიდან გამოსავალი მონახონ, არამედ იმიტომ, რომ ძალათ დაჯანბონ მოწინააღმდეგენი, ასეთ კრებისაგან მე არაფერ კარგს არ ველო!!“.

ასეთია კაუცკის აზრი.

კაუცკის წინასწარმეტყველება ასრულდა—კრებამ მოგვცა რასკოლი, პარტიის გაყოფა. როგორც

ხედავთ, კაუცკი რასკოლის ასაცილებლათ ასახელებს წინდაწინ მოლაპარაკებას, კონფერენციას, სადაც ორივე ბანაკი ამხანაგურათ განსჯიან საქმის მდგომარეობას და მონახვენ შესათანხმებელ ნიშნებს. ასე მოხდა 1875 წ. გერმანიაში ლასალიანელთა და მარქსისტთა შორის, სადაც ორივე ფრაქცია შეერთდა და რამოდენისამე თვის შემდეგ მომხდარ პარტიის კრებამ (ქ. გოტაში) კონფერენციის დადგენილება დააკანონა. სწორეთ ამიტომ თხოულობდა „უმცირესობა“ კონფერენციას, წინდაწინ მოლაპარაკებას და არა პირდაპირ კენჭების ჩახა ჩუხით საქმის გადაწყვეტას. ამ მიზნით მომართა ჩვენს პარტიას ბებელმა, მოგალაპარაკებთო, მარა ყოველივე ამაო შეიქმნა, „უმრავლესობამ“ ყველა ეს უარყო და ყალბი კენჭების საშუალებით თავის თავი პარტიის პატრონათ გამოაცხადა! ამასთანავე მას კაუცკის მიერ დაწუნებული წესდების მუხლი (პარტიის წევრობაზე) თავის წესდებაში შეაქვს—ერთი სიტყვით მიდის წინააღმდეგ კაუცკის მიერ ნაჩვენები გზისა\*).


ბ რ ე ს ა. 1)

„ივერია“ გამოგვეკამათა. მას რასაკვირველია, არ მოსწონს ჩვენი უარისყოფა „ეროვნული ავტონომიისა“ და გვიკითხვებს, და მერე იცით რას? არა საბუთების უარგისობას, ამას ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს, არამედ იმას რომ ჩვენი ზოგი მოთხოვნილება ძლიერ გავს სომხის ბურჟუაზიის მოთხოვნილებასო! (№ 72) მერე მას რომ ეს სათაკილოა, ეს „ახირებული მდგომარეობაა“. ჩვენ ამაზე მოვახსენებთ „ივერიას“, რომ ჩვენი პროგრამა მინიმუმის ზოგიერთი მუხლი კი არა, შეიძლება ორი წლიც გავიდეს რომელიმე ბურჟუაზიულ პარტიის პროგრამას, მაგრამ განა საქმე ამაშია? აი მაგ. „ივერია“ თხოულობს დამფუძნებელ კრებას და ჩვენც, რუსეთის მოწინავე ბურჟუაზიაც თხოულობს პარლამენტს, თავისუფალ წყობილებას და ჩვენც ვთხოულობთ, ნუ თუ ეს ჩვენთვის სათაკილოა? ამის მოქმედს სოციალდემოკრატის არაფერი არ უნდა ესმოდეს, თვარა ის როგორ არ უნდა იცოდეს, რაც ახლა ბავშვაც კი იცის, სახელდობრ, ჩვენ დღეს ბურჟუაზიული რევოლიუციის მოსახდენათ ვიდრე, ჩვენი პროგრამის დემოკრატიული ნაწილის მიღება შეუძლია ბურჟუაზიულ დემოკრატსაც და სხ. განსხვავება, მაშასადამე, მოთხოვნილებაში კი არ არის, არამედ მიზანში, ვის რათ უნდა დემოკრატიული წყობილება. „ივერიას“ მაგ. დამფუძნებელი კრება სურს ეროვნული ავტონომიის მოსაპოვებლათ, ჩვენ კი, პირიქით, ასეთი ავტონომიის უარის საყოფლათ; თავისუფლება ბურჟუაზიის ეჭირება თავისი ძალ-ღონის შესამატებლათ და

მეშათა გასაყვლევთ, ჩვენ კი პირიქით, მეშათა შესაკეშირებლათ, კლასთა ბრძოლის გასაძლიერებლათ და ბურჟუაზიის დასამარცხებლათ. ერთი სიტყვით, ერთი და იგივე იარაღს ჩვენ და ბურჟუაზია სხედასხვა ნაირათ ვიყენებთ. „ივერიას“ კი ჰგონია სათაკილოა იმ იარაღით შეიარაღება, რითაც მტერია შეიარაღებულიო! არა, სათაკილო კი არა, სასიქადულოც არის. „ივერია“ რომ მართლა მოწინააღმდეგებსავეთ ყოფილიყო შეიარაღებული, გ. ი. მეტი ლოლიკა და მეტი დაკვირვება გამოეჩინა, ყოველივე ამას არ დასწერდა და მით თავის თავს სწორეთ ახირებულ მდგომარეობაში არ ჩაყენებდა. „ივერიას“ ძლიერ ვაკვირებია ის, რომ ჩვენ და სომხის ბურჟუაზია თითქმის ერთ და იმავეს ვთხოულობთ—კავკასიის საოლქო თვითმართველობას. მით უკეთესი, ჩვენ მარტო არ ვყოფილვართ. რა არის ამაში საძრახი, გაუგებარია. ჩვენს პროგრამას და პრინციპებს ხომ არ ეწინააღმდეგება, პირიქით ასეთი დაწესებულებით ჩვენ უკეთ განვახორციელებთ ჩვენ საბოლოო მიზანს; საძრახისი იქნებოდა ჩვენც რომ ეროვნული ავტონომია მოგვეთხოვა, ვინაიდან ეს ძლიერ დაგვაშორებდა ჩვენი პროგრამიდან. კავკასიის თვითმართველობის ცენტრალურ ორგანოს „არ ექნება უფლება გამოსცეს კავკასიისათვის რაიმე კანონები ან სავალდებულო დადგენილებანი“, თვალცრემლიანი მოთქვამს „ივერია“. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება, რასაკვირველია, ექნება, რაც შეეხება კანონებს აი ამის შესახებ რას მოვახსენებთ ნაციონალისტთა ორგანოს: კანონებია პოლიტიკური, სისხლის სამართლის და სამოქალაქო. რომელი კანონების გამოცემა გსურთ? განა შეიძლება რომ რუსეთის პარლამენტმა სიტყვის თავისუფლება დააკანონოს და თქვენ კი შეზღუდოთ? ან რუსეთში კაცის კვლა და ქურდობა ერთი სასჯელით დაისჯება, ჩვენში კი მეორეთი? კანონები თანდათან ემსგავსებიათ ერთმანერთს ყველა განათლებულ ქვეყანაში, იდეალი სწორეთ იმაშია, რომ ყოველგან ერთნაირი მართლმსაჯულება სუფივდეს, „ივერიას“ კი ყველაფერი თავისი „ნაციონალური“ ენატრება, თუნდაც ეს ვახტანგის კანონები იყოს. მეორე მხრით, შეიძლება თქვან, ჩვენ უფრო კარგ კანონებს გამოვცემთ, ვინც რუსეთის პარლამენტიო. მაგრამ რას გვიშველის ეს? თუ იქ მტარვალური წესები იქნება, ვინ შეიგვარჩენს ჩვენ თავისუფლებას? თინლიანდიას განა შეიარჩინებს? ცხადია, ჩვენი ბედი ისე მჭიდროთ არის შეკავშირებული რუსის ხალხთან, რომ მისგან ჩვენი გამოშორება ყოველმხრივ დაგვეცემს. კავკასიის თვითმართველობას ის დანიშნულება ექნება, რომ რუსეთის საზოგადო კანონები ადგილობრივ ცხოვრებას შეუაჯუოს, და ადგილობრივ მკვიდრთა შესაფერათ გაატაროს. მაგ. სასწავლებლებს, სასამართლოს და სხვა საჭირო დაწესებულებათ ადგილობრივ ენებზე აწარმოვებს და სხ. ერთი სიტყვით „სრულიად რუსეთის კანონმდებლობის ფარგალში“ განაგებს ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას; თავისთავათ ცხადია ისიც, რომ ეს ორგანო შეი-

\*) კაუცკი, რომ ლენინის „Что дѣлать“ იცნობდეს, მაშინ ის კიდევ უფრო დაშორებოდა „უმრავლესობას“ და მისი „მოქცევის“ იმედიც არ ექნებოდა.

1) ეს წერილი მე-3 ნომერში უადგილობის ვამო ვერ გავიდა.



მუშევრებს და გაატარებს ყველა იმ წესებს რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთო კანონებს და შეფერება ადგილობრივ მოთხოვნებებს.

„ივერიას“ უკვირს ისიც, რომ მასავით არ ვდევნით გადმოსახლებულთ და ისე გამოყავს ვითომ ჩვენ ვამბობდეთ, ადგილობრივ გლეხთ ნუ მისცემთ მიწას და სხვებს კი მიეცითო. ნამდვილათ კი ჩვენ ვამბობთ: მიწა ბევრია, მარა ის მემამულეთა და ხაზინის ხელშია, საჭიროა ყველა ეროვნების მუშის შეერთება და ამ მამულების მუქთა ხორასთვის წართმევა. „ივერიას“ კი ჰგონია, სადაც ქართველია იქ რუსი ვეღარ იცხოვრებს და სადაც რუსია იქ ქართველი მეტი ბარგია. მას სურს ერთა შორის საშუალო საუკუნური ჩინური კედლები გაიყვანოს და ერთი მეორეს არ მიაკაროს. სოციალდემოკრატია თხოულობს თანასწორ უფლებებს ყველა ერისათვის, მაშასადამე იმასაც, რომ თავისუფალი მიწები მიეცეს ერთნაირათ, როგორც ქართველს, ისე რუსს, სომეხს და სხვა გაჭირებულთ. ნუ თუ ეს ძნელი გასაგებია, ბ. ბ. ავტონომისტებო?

„ივერია“ არ დაკმაყოფილდა ერთჯერ თავის გაბახებით და მორიდობა მეორეჯერაც თავის თავის გაშოლტვა. მან მე-75 ნომერში გამოახტონა მეორე „ივერიელი“, პირველზე უფრო მეტიჩარა და უბედური. არც ეს გაუბატონი ეხება ჩვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებას სახელდობრ იმას, რომ მათ „ეროვნული ავტონომიით“ სურთ დასჩაგრონ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ სხვა ერები. გაჩუმება თანხმობას ნიშნავსო ნათქვამია და ამიერიდან გვეცოდინება, რომ ჩვენ ნაციონალისტებს სხვების საჯიკნელათ სურთ თავისი ავტონომია. მაგრამ ეს თავისი შოვინისტობა რომ მიაფუჩეჩონ, ჩვენ გვედავებთან — ბიუროკრატები ხართო; სოციალდემოკრატები გვერდში ამოუდგა ბიუროკრატებს — გაიძახის „ივერიის“ უშიშარი რაინდი. გაღმა გაედავე, გამოღმა შეგჩებო, ეს არის. იმათ უნდათ ბიუროკრატული და შოვინისტური პოლიტიკა გაამეფონ ჩვენში, მათ სურთ დღევანდელი მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკა სხვა ერების მიმართ თვითონ შეითვისონ და გაატარონ სხვების წინააღმდეგ, იმ განსხვავებით რომ თუ დღეს ქართველს დევნის რუსეთის მთავრობა, ხვალ ქართველი მთავრობა დაუწყებს დევნას რუსს, სომეხს და სხ. ერებს — აი ასეთი ხალხი ჩვენ გვიკვირებს ბიუროკრატობას! ამ საბრალოთ დღემდის ვერ გაუვიათ ცნობილი იურიდიული ტერმინი „საოლქო თვითმმართველობა“, რაიცა ნიშნავს ტერიტორიალურ ავტონომიას, წინააღმდეგ ეროვნულისა. პირველია თანასწორი უფლების მინიჭება ყველა იმ ერებისთვის, რომელნიც ავტონომიურ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ხოლო მეორეა ერთი ერის წინ წამოყენება და სხვებზე გაუპირატესობა, როგორც მაგ. ვენგრიაშია ამჟამათ აქ მაღარებია გაბატონებული და შემადრწუნებელი სისასტიკით დევნიან ყველა სხვა დანარჩენ ერებს. და როცა ჩვენ არ ვანებებთ ჩვენს შოვინისტებს ასეთ ავტონომიას — გულზე სქდებიან, რატომ არ ვვანებებთო! ამ დიდ მაღიან

ინტელიგენტებმა დაწერილიც რომ ვერ წაიკითხონ რა გასაკვირალია, ვინაიდან ერთი აზრით დამთვრალი სხვის ფიხლობას ვერ ითმენს. ჩვენმა კონფერენციამ ის აზრი გამოთქვა, რომ კავკასიის თვითმართველობის ცენტრალური ორგანო „სრულიად რუსეთის კანონმდებლობის საზღვრებში განაგებს კავკასიის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასო“. „ივერიის“ რაინდს „სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება წარმოუდგენია სკოლის და სამკურნალოს ფულის აკრეფათ, შარა გზების გაყვანათ და „ოთხფეხი საქონლის“ წამლობათ! აი ეს არის პოლიტიკური სარბიელიო! სწორეთ ყუად აღებულ ქართველ საზოგადოებაში თუ შეიძლება ასეთი უვიცი, უკაცრავათ პასუხია, მწერლები, თვარა სხვაგან არსათ. აი როგორ განახლებულა „ივერია“. უვიცობით განახლება — „ივერიელთათვის“ დაგითმია.

ნაციონალისტთა მეორე ორგანო — „ცნ. ფურ.“ გვედავება, გვედავება ცალკებათ, აქაო და არ შემატყონო (№ 2808 და სხ.). ეს გასაშტერებელი გულახდილობით აღიარებს თავის სულის კვეთებას — საქართველოში სხვა ერების დაჩაგრვის საქიროებას. ის სწერს: „ბურჟუაზიის გაბატონებას თან მო' დევს ეროვნებათა დაჩაგრვაო“, და რადგანაც მას სურს საქართველოში ქართველი ბურჟუაზიის გაბატონება, ცხადია სხვა ეროვნებათა დაჩაგრვასაც ეტრფილება. ამის დასასაბუთებლათ ის იმოწმებს კაუცკის, ინგლისის სოციალდემოკრატიულ პარტიას, პოლონეთს და სხ, ესენიც ასე ამბობენო! ნამდვილათ კი არც ერთი იმას არ ამბობს, რასაც ჩვენი ავტონომისტები ამბობენ. კაუცკი ავსტრიისთვის საქიროთ რაცხს „ეროვნებათა ავტონომიას“-ო, გაიძახის „ც. ფ.“ მერე? „ცნ. ფურ.“ ხომ ასეთს არაფერს თხოულობს, მას სურს საქართველოს საზღვრებში არა „ეროვნებათა ავტონომია“, არამედ ერთი ეროვნების ავტონომია, ქართველობის სხვებზე გაბატონება. განსხვავება დიდია, როგორც ხედავთ. გარდა ამისა ავსტრიის და ჩვენი მდგომარეობა ერთნაირი ხომ არ არის, რომ უთუოთ ის მოვითხოვოთ რასაც იქ თხოულობენ. სოციალდემოკრატია ერთი ყველა ვარემოების და პირობისათვის მზა-მზარეული რეცეპტი არ აქვს, ის მოქმედებს თანახმათ ადგილობრივი გარემოებისა და ქადაგობს ისეთ წყობილებას, რომელიც ამ გარემოებას შეეფერება და კლასთა ბრძოლას აჩქარებს. ავსტრიაში შეიძლება ისეთი წყობილებაა საქირო სოციალიზმის მოსახლოებლათ, ხოლო ჩვენში კი სხვანაირი. ჩვენ ნაციონალისტებივით გაკერპებული არა ვართ, რომ ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივე ვიძახოთ. პოლშის სოც. დემოკრატები თხოულობენ პოლშის ავტონომიას, არც ჩვენ გვაქვს რამე ამის წინააღმდეგი, რადგანაც ეს იქ არ გამოიწვევს ისეთ ეროვნულ შუღლს, როგორც ჩვენში: იქ კავკასიისავით მრავალი ერები არ ბინადრობენ და მაშასადამე რაც პოლშას მოუხთება ჩვენ შეიძლება გვავნოს. ეს ითქმის ირლანდიის ჰომრულზედაც, რასაც ინგლისის სოც. დემოკრატია თხოულობს. ჩვენ ქართულ პარლამენტს იმიტომ კი არ

გიწუნებთ, რომ შიგ ბურჟუაზია გაბატონდება, ამ შემთხვევაში ყოველნაირი პარლამენტი და თვით ახლანდელი რევოლუციაც უარი უნდა გვეყო, რადგან ყველა ეს ბურჟუაზიულია. არა, ჩვენ არ გვინდა ეროვნული ავტონომია უმთავრესათ იმიტომ, რომ ეს დაბადებს მუდმივ ეროვნულ განხეთქილებას. ჯერ მარტო ლაპარაკია ავტონომიაზე და ნაყოფი უკვე გამოიღო: თფილისის რუსის მუშები (თომცა უმცირესობა) დაარწმუნა პოლიციამ ქართველები თავის სახელმწიფოს თხოულობენ, აქედან თქვენ გაგრევენო და მათაც გამართეს „პატრიოტული მანიფესტაცია“. ახლა ასეთ პროპაგანდას თათრებშიაც ეწევიან და ვინ იცის რა მოყვება. რაღა იქნება მაშინ, როცა ავტონომია გვექნება? თქვენ ბნო ნაციონალისტებო, რა გგებარჯებათ სიტყვის მეტი, ჩვენ კი ბევრი რამე გგებარჯვის, ამ თქვენი უთავბოლოების ნაყოფს ჩვენ ვმკით და რაც ხელით გასახსნელი გვექონდა, კბილით გასახსნელათ გვიკეთდება.

**კო რ ე ს ზ ო ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი**

**ქუთაისის ციხე.** ამ წლის დამდეგ თებერვლამდე აქ ციხის პირობები აუტანელი იყო. არ ვარგოდა საქმელი, ცოტა იყო პური, არ იყო საავადმყოფოში საჭირო და საკმაო წამლები, არ ქონდა ავადმყოფებს სუფთა საცვლები და მოვლა, ცოტა იყო სეირნობა, თვეში ერთხელ იყო აბანო და სხვა და სხვა... მაგრამ თავი და თავი აუტანელი ის იყო, რომ ციხის უფროსი და ზედამხედველები გაბატონებული იყვნენ ტუსალებზე. არ იყო გარჩევა პოლიტიკურ დამნაშავეებსა და სისხლის სამართლის ტუსაღათა შორის. ყველას ერთნაირათ უდიერათ ეტყობოდნენ. ყველას ერთნაირათ ლანძღვდნენ და თუ ვინმე ტუსაღათგანი გაბედავდა წინააღმდეგობას ან სიტყვიერათ ან ხელით, ვაი მის დღეს: ციხის უფროსი უკითხავ-უძიებლათ, მარტოდნენ ზედამხედველის ჩასმენით, ან პირადი ათვალწუნებით სჯიდა ტუსაღს. სასჯელი იყო უკანასკნელი შვიდი დღე და დამე კარცერში ჩამწყვდევა მარტოცა წყალსა და პურზე. ცამდე უდანაშაულო რომ ყოფილიყო, სიტყვას არ ათქმევინებდა თავის გასამართლებლათ, „მე ტუსაღი ადამიანათ არ მიმანჩია და არც არაფერს დაეუჯერებ მასო,“ ბრან-მორეული ხშირათ ეტყოდა თავის მართლების მოსურნე ტუსაღს. ერთს წელიწადზე მეტ ხანს იყო ასეთი პირობები აქ. ბოლოს შეუძლებელი გახდა მოთმენა. პირველათ მშვიდობიანათ მოვითხოვეთ ციხის გაუმჯობესება და როცა ყურადღება არ მოგვაქციეს, მთელმა ციხემ შიმშილობა დაიწყო. გაიარა რამოდენიმე საათმა და დაიწყეს მოლაპარაკება. ყველა მოთხოვნილებებზე დაგვეთანხმენ. აღმოჩნდა, რომ გუბერნატორის საკან ყოფილიყო უკვე მოწერილი ზოგიერთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგრამ ეს მოწერილობა ციხის უფროსს თითონ არ მოეყვანა სისრულეში. ამ მიზეზის გამო იყო თუ კიდევ სხვა, ციხის უფროსი ადგილიდან დაბოვილი იქნა. მის მაგივრათ დაინიშნა დროებით მოადგილე. ზოგი ჩვენი მოთხოვნილებები მაშინვე შეგვისრულეს, ზოგიც შემდგომათვის დაგვიპირდნენ. დანაპირებიდან ნარების დაღმა, და სამკითხველოს გაპართვა და საავადმყოფოს გაუმჯობესება ჯერაც არ აუტრულებიათ. საერთოთ, წინანდელთან შედარებით, პირობები მაინც ბევრით გაუმჯობესდა.

**პირველი მაისობა.** თვრამეტ აპრილს, ე. ი. აღდგომის მეორე დღეს, დღესასწაულის გამო, ყველა ტუსაღები ერთად გამოვიწყეს ეზოში სასეირნოთ. ოთხასზე მეტი კაცი იყო. პოლიტიკურები ას-ოცებ მეტი ვიქნებოდით. როცა ყველა ტუსაღები გამოვიდნენ, იქვე ქვის კიბეზე ავიდა ერთი ამხანაგი და სიტყვა წარმოიტქვა საერთოთ მუშათა მოძრაობაზე. მას მოყვა მეორე ამხანაგი. ამან ილაპარაკა პირველ მაისის

დღისასწაულზე და მის მნიშვნელობაზე. პირველმა ამხანაგმა წარმოიტქვა ორჯერ კიდევ სიტყვა სხადანხვე [შინაქსანს] ყოველი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ აიწოდნენ [შინაქსანს] ტოკი“ და მარსელიონისა და სხვა რევოლუციური სიმღერების მღერით ირგვლივ შემოვივლიდით გზოს. სალდათები ყველა თავთავის პოსტზე იდგნენ და მათ სახეზე, როგორც სხვა—ტუსაღებისაზედაც ღიმილი და მხიარულება იხატებოდა. ძლიერი და ხანგრძლივი იყო ერთხმა ყვირია „გაუმარჯოს სალდათებს! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ძირს თვითმპყრობელობა! ძირს ნიკოლოზ მეორეთ“. ამ დროს ციხის უფროსი კანტორაში არ იყო. პირველი სიტყვის უმაღვე აცნობეს მას, მაგრამ სანამ ის მოვიდოდა ჩვენ ჩვენი გქენით. როცა ციხის უფროსი გამოვიდა ეზოში, მას ყველა თამაში დახვდა გაჩაღებული. სხვა ყველაფერი მორჩენილი იყო. კარგა ხანის სეირნობის შემდეგ, დავიშალეთ და ყველა აღტაცებულ და გახარებული წავიდა თავის კამერაში.

ამ დროებით მეტის მეტი სივიწროვეა კამერებში. ციხე არის აშენებული ორასი კაცისათვის. აქ-კი ოთხასს კაცზე მუდამ მეტია. მოვითხოვეთ, რომ ზედმეტი ხალხი ან გაეშვათ და ან სხვა ადგილი მოგნახათ მათთვის. რამოდენიმე კაცი უკვე დადაიყვანეს მეორე პატარა კიხეში და სხვა სამაზრო კიხეებში. მაგრამ, რადგან ახალი დაჭერილები ბევრი გვემატება, ამიტომ სივიწროვე ისევ ისე საგრძნობელია.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც საკატორგო ტუსაღების იტაპი შეჩერდა. ამ ყამად მთლათ ბორკილებიანები ორმოცდა თორმეტი კაცია. ამას წინათ ამათ ქონდათ ნათხოვარი, რომ ან გაეგზავნათ ისინი და ან ბორკილები აეტრათ თუ აქ დატოვებდნენ. გუბერნატორმა ორივეზე უარი უთხრა. შემდეგ კიდევ თხოვეს ციხის უფროსის პირით და კიდევ იგივე პასუხი მიიღეს. სამს მაისს დილის სეირნობის შემდეგ შიმშიტანეს ქიები და ოცი წუთის განმავლობაში ყველამ ბორკილები დაამტკირეს. იმწავსეცე გაჩნდა პოლიციმეისტერი და გუბერნატორი. დაუწყეს ჯერ საყვედური და შემდეგ მულარა ისევ დაჭილილიყვენ. კატორჟნიკებმა ბორკილები გადაიკეს მათ და ისევ დაჭედიაზე-კი უარი უთხრეს. ისე უბორკილოთ იყვნენ ოთხი დღე. მთავრობის მხრით ყოველ დღე იყო ხეიწნა დაჭედვის შესახებ, მაგრამ ცივი უარით ისტუმრებდნენ უკანვე. ბოლოს, ზოგიერთი პირობების დადებით, ისევ დაიჭედნენ.

**იძილანვე** ციხის ტუსაღ ამხანაგებმა მოითხოვეს მდგომარეობის გაუმჯობესება დაროცა ყურადღება არ მიაქციეს შიმშილობა გამოაცხადეს, მათ მიემხრენ სხვა ტუსაღებიც, ყურადღება არც ახლა მოგვაქციეს, მხოლოთ შიმშილობის მგზვიდე დღეს უცებ მოიჭრენ ჩვენთან გუბერნატორი და მისი ამაოლ-დამაოლი და გამოვიცხადეს ყველაფერი და-კმაყოფილებულია და ჩვეიც შიმშილობა შევეწყვიტეთ. მიზეზი ასეთი უეცარი ცვლილებისა ყოფილა ქუთაისის ჩვენი ორგანიზაციის აგტაცია და ქალაქის გაფიცვა.

**თელავილან** გვწერენ: აქ ეს მეორე კვირა დაატყვევეს ორი აფიცერი სულაქველი ქე და რახმანოვი, აბრალებენ სალდათებში სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას. თუმცა ამის საბუთები არაფერია, მარა რამოდენიმე მათი ამხანაგის დაბეზლება საკმაოთ ჩასთვალეს დასაჭერათ. აი ამ ჯაშუშების სახელები: პაულ (Паул), ავუე (Авуе), დოლოგონოვი (Долгоновъ) მიკლავეესკი (Миклашевский) და გრომოვი (Громовъ). ამათ დააბეზლეს, ამათ დაატყვევეს და ამათ ჩამოართვეს ჩვენება! აი ყაზარმული მართლმსაჯულება!

**შინაპასი:** დემოკრატია და სოციალდემოკრატია, — ლიბერალები მეფესთან, — თვითმპყრობელობა დღეს, — პატრიული მუშაობა გურიაში, — შინაური მიმოხილვა, — ალექსანდრე წულუკიძე, — წერილები უცხოეთიდან, — კ. კაუციკი „უმრავლესობის“ შესახებ, — პრესა, — ორე პონდენციები, — პარტიიდან.

**სტამბა თფილისის კომიტეტისა.**